



№ 14. კვირა, 2 დეკემბერი, 1923 წ. № 14.

ფაშისტური დიქტატურა.



542

ეს დიქტატურა განვაიმოვეთ
მე ამ კლდე-ქვაზე:
დავეურებ ფიქრებს, რომ ამბუდარან
„მეფაშულ ჯღვაზე“.

და მიმდგირან „გულის საღმრ.“
უცხო არიებს...
არ ვსთვლი საჭიროდ ამ კიდევ სხვა
კომენტარებს...

შენიშვნები

კვირა დილით რომ ბინიდან ქუჩაში გამოვიდნარ და აქა-იქ კენჭად, თუ წყვილად მდგომი, ახლად გამოსულ „ნიანგი“-თ ხელში, დავინახავ, ჩემს გულის წყრომას საზღვარი არ აქვს, რადგან ისინი, წინააღმდეგ ერთხელ გაზეთ „მუშაში“ ერთი ვილაც „ჭკუა მახვილი“ კაცის მტკიცებისა, იცინიან... იცინიან აშკარად, ყველას დასანახათ და მზის სინათლეზე.

და მე გული მომდის, ბრაზი მახრჩობს იმიტომ, რომ ამ „ჯამბაზებმა“, ჩემის შეხედულებით, არ იცინიან ის, თუ ეს მათი ერთი, თუ ორი გაცინება, მე რამდენ ტანჯვით, მწუხარების ოფლით და, თუ გნებავთ, ცრემლთაღაც მიღირს...

ყოველი ახალი კვირა, ყოველი ახალი ორშაბათი ჩემთვის ახალი ტანჯვის, შიშის და მწუხარების მომტანია და, მე რომ იმ პირველ ორშაბათს შევსწრებოდი, როცა ღმერთმა ქვეყნის შექმნა დაიწყო, უმჯობესად წყალს ავუღვრედი და „აბსტრუქციას“ მოევუდებდი. „წყალის ამღვრევა“ დღესაც იოლია, თორემ მაშინ, აბა, ეს ხომ სრულიადაც არ გამიჭირდებოდა, რადგან მაშინ მთელი ქვეყანა სულ წყლით იყო დაფარული.

ამ სიტყვების წამკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ მე პური მაკლია.

უკაცრავათ და, პური მე მენშევიკების ხანაშიაც არ მკლებია.

აბა, ფული?

სრულიადაც არა, ფულით მე სახლებს ვაგებ და ეს იმისთვის, რომ თვითონ ნიდავ უბინაოთ ვიყვე.

აბა, ავტომობილი?

ვერც ახლა მიმიხვდით, რადგან ავტომობილს მე ათი საუნიის უახლოეს არასდროს არ ვეკარები.

აბა, ტანისამოსი?

უკაცრავათ, ამხანაგო! ასე თქვენ ჩამოყვებით და ჩამოთვლით თითქმის ყველა საგნებს. მართალია, თქვენ ეს არ გაგიჭირდებათ, მაგრამ ახლა ჩემი იკითხეთ, თუ რამდენი დრო, სიტყვა და ენერგია უნდა დაეხარჯო ყველა საგნებისადმი ჩემი დამოკიდებულების გამომჟღავნებაში. ამ ჩამოთვლაში თქვენ იქნება ჩემს ინტიმიურ „მაზოლსაც“ ქე დააბიჯოთ თქვენი მოურიდელები ფეხი. სჯობია, ისევ მე გამოგიტყდეთ და ჩემი მწუხარებისა და ტანჯვის საგანი მევე გამოგიმჟღავნოთ.

თუმცა თქვენც კი უნდა მიხედვრილიყავით, მაგრამ თქვენ რას დაეძებთ. თქვენ ოღონდ მოგართვან მზა-მზარეული „ნიანგი“, გინდ შემწვარი, გინდ მოხრაკული, თორემ თქვენ სხვას არას დასდევთ.

ეს რომ ასე არ ყოფილიყო, არც ცხონებული კრილოვი შეაჩერებდა თავის ყურადღებას „ასწლოვან მუხის“ ქვეშ.

ჩემი ყოველი ორშაბათის მწუხარება და, თუ გნებავთ, საშაბათისაც არის იუმორტისულო, ანუ სახუმარო („რუბიკონულად“ სამასხარო) წერილის საგანი, ანუ ყოველად პატიოსან და დიდათ პატივცემულ გრიგოლ

რობაქიძის ტკბილი და მშვენიერი ქართული გამოთქმით, „ტქემა“.

„ტქემა“, დიახ, „ტქემა“! ბოდიშს ვიხდი და, ვინმეს ტყემალი არ ეგონოს.

მართალია, „ტქემა“ ზოგს ტყემალსავით კბილსაც კი ხშირად მოჰკევთ, მაგრამ ეს კიდევ სრულიადაც არ იძლევა იმის საბუთს, რომ „ტქემა“-ტყემალში ავუროთ. იგი ტყემალსავით „კბილ წამოსაკრავი“ მაინც არ არის და არ არის.

ტყემალი, მაგალითად, გაზაფხულზე ყვავის. აყვავდება ყველა ხეხილზე ადრე. ისეთი მომხიბლავი თეთრი ყვავილები აქვს, რომ გეგონებათ, ქვეყანას აგი დაამშვენებსო! მაგრამ გაივლის სულ რაღაც ოცი, ოცდაათი დღე და, ლოდინის სასყიდლათ, მივიღებთ ისეთ მწვანე და მუავე, რაღაც გულმწარე მარცვლებს, რომ პატიოსანი კაცი კბილს არ მოაცდენს ზეთ.

სულ სხვაა „ტქემა“. იგი მუდამ „ტქემაა“. ცა და ქვეყანა მას გარს ეხვევა, თავს დასტრიალებს, კბილებს ზედ ავლებენ... ზოგი ნამეტანი მაგარი მოჭირებისაგან ზედაც კი მიაბტგრევს კბილს, მაგრამ „ტქემა“ მაინც „ტქემად“ რჩება. იმას, გადაბრუნებ—„ტქემაა“, გადმოაბრუნებდა—„ტქემაა“.

ეს-ფილოსოფიაში. მაგრამ სულ სხვაა ჰუმორიზტიკა, უკაცრავად, იუმორიზტოლოგია, ან კიდევ-იუმორისპრუდენცია. აქ „მარადიულად“ რჩება ჰუმორი, ხოლო იცვლება, „ტქემა“. იგი „შემოჭრაა სტატუარულ ყოფაში და წარმავლობით „წარმატალი“ მოვლენაა.“!

და აი, ამ პატარა მოვლენას, რომელიც არის ასეთი „წარმატალი“, შეუძლია გათამაშოს ისეთი „სარტალ-მარტალი“, რომ სრულიათ დაგავიწყოს როგორც „ტქემა“, ისე ტყემალიც.

როგორც მოვიხსენიე, ჩემი ყოველი ორშაბათის ტანჯვა-წუხილის საგანს შეადგენს ტქემა“. მე სულ, დღითა და ღამით მაზე ვფიქრობ, მას დავეძებ კაი მეძებარი ძალივით. ვაკვირდები: ქუჩებს, სახლებს, დაწესებულებებს, გამვლელს და გამომვლელს, ვიჭვრიტები თითქმის ყველა ჭუჭუტანაში, ყოველ ჟურნალ-გაზეთში, დიდი, თუ პატარა ფორმატისა... მაინც ყველგან სიძუნწე, ყველგან საშინელი“ კრიზისი „ტქემისა“.

ღმერთმა უშველოს ისევ „ქართულ სიტყვას“. ქართულ სიტყვაში, მოგეხსენებათ, საზოგადოთ ბევრია გასაქირდ-გასაკილავი. აიღეთ, თუ გნებავთ, პირველი, რომელიც ხელში მოგხვდებათ...

მე უკვე ავიღე „ქართული სიტყვის“ № 1. სწავლა განათლება არაბეთში მაქვს მიღებული, ვინაიდან მთელი ჩემი ცოდნა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ტაეპით განისაზღვრება. ამიტომ რაღა გასაკვირია, რომ გაზეთის კითხვას ვიწყებ მუდამ ბოლოიდგან.

თითქმის შაბლონურად ვიცი, რომ გაზეთის მეოთხე გვერდი ყოველთვის მარტო განცხადებებითაა სავსე და ის ეხება მხოლოდ ეგრედ წოდებულ „ხოზიასტენიკებს“.

მაშასადამე, მე პირდაპირ მე-3-ე გვერდის ბოლოში ვადებ თითს.

ქართული კითხვა წერა—კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაცო სკოლაში მაქვს შესწავლილი და ვიწყებ:

„ეძიქაბორ ლოგირგ ინემონენფ“...

აი, დასწყველოს ღმერთმა!... მე სულ არაბეთში მგონია თავი; მას ამაყად ვიღებ მაღლა, ვაბრუნებ, ხელში გაზეთს და ვიწყებ ამ წერილის პირდაპირ ტექსტის კითხვას: „ოსვალდ შპენგლერ მაგარი მოაზრეა“... „ოჰ, ჯირკის თავი ჰქონია ოჯახქორს“, გავიფიქრე გუნებაში...

„მას აქვს თავისებური სინოყიერე“... სულ დავიკარგე: „ვილაცობერი სოფლის“ „კულაკი“ ყოფილა“, საბუთიანად მივუმატე ნაფიქრს—ფიქრი და გაზეთი მოვკეცე...

არა, რა ჩემი საქმეა ასეთი სერიოზული გაზეთის სერიოზული წერილების კითხვა! მე ხომ იუმორისტად ვარ დაბადებული. ჩემი ჰუმორი განთქმულია ქვეყნად და იგი ისეა „შეჭრილი ფილოსოფიაში“, როგორც „ბედის წერა ყოფნის სტატუარულს ყოფაში“.

ბოლოს და ბოლოს მთელი აზრი ადამიანის ყოფნისა არის „ნდომა“ და ქმნა მარადიულისა“.

მაგალითად: გინდა შენი საკუთარი თავის, ე. ი., სახელის უკვდავ-ყოფა და შენც ეს უნდა „ქმნა“.

მაშა!... თქვენ, აბა, როგორ გეგონათ?!

მოვლენ და სხვები შეიწუხებენ თქვენთვის თავს?... დიახ, სწორეთ ამისთვისაა მოგონილი კოლექტივიზმიც!..

უკაცრავათ და, თავისი თავი შენთვისთონ უნდა გახსოვდეს!..

აი, მაგალითად, მე. იმისდა მიუხედავად, ვიპოვე მე „ტქემა“, თუ ვერ ვიპოვე, სცხია ჩემს წერილებს იუმორისა რაზე, თუ არ სცხია, მე მაინც დიდი იუმორისტივარ! მე ამ დარგში და არა მარტო ამ დარგში, საზოგადოთ, ყველა დარგებში და თვით დარგთა დარგებშიაც კი უუდიდესი, ე. ი., უძლიერესი-მეტეკი მინდოდა მეტეკა, ფენომენი ვარ, დიახ, ფენომენი!..

საბუთი!? ინებეთ!..

მე ის იუმორისტი გახლავარ, უკაცრავათ, იუმორის ის ფენომენი, რომელმაც ჩემს ცოლს, ჩემს საყვარელ ხვარამხეს, ჩემი ტკბილი მეუღლეობის ოცდახუთი წლის განმავლობაში, ხუთი ღრმა ხასიათისა და ხუთჯერ ხუთი უფრო მსუბუქი ღირსების სიცილი მოგვგარე მუდამ შემოდგომის ავდრიან დღესავით ჩამომტირალ სახეზე!..

და აი, ამის შემდეგ გაბედავს ვინმე და მკადრებს, რომ მე მაკლია იუმორი?! პირიქით, მე იუმორი არა თუ არ მაკლია, მე იმისი სრული განხორციელება ვარ, მე ვარ იუმორის არა მარტო ფენომენი, არამედ ფენო-ომენი!....

ონიხიმე.



თ ე ღ რ.

(ამბავზე აგებული ამბავი).

ჩვეულებრივად ტახტზე
წამოწოლილა თედო,
არ ეძინება, სივრცეს
გაცქერის უიმედოთ.
ფიქრები მეტად ცუდი
უტრიალებენ თავში,
ხან უღვაწს გადაიგრეს,
ხან ხელს წაივლებს თმაში.
საკითხს ყოველმხრივ უვლის,
უვლის და ვერ ქვრეტს შედეგს,
ხან შეჩერდება წუთით,
და კვლავ განაგრძობს შემდეგ...
მაგრამ არ არის შველა,
არ წყდება კითხვა ავი,
ვით ეყროპაში კითხვა
მშვიდობისა და ზავის.
უნდა გზა ნახოს, სანამ
ცუდი რამ მოხდებოდეს,
„ზაგა“-ის შესჩივლოს, ან თუ
თავის იმედი ქონდეს.
არ ჩივის სახლ-კარსა, და არც
ხრივით შერჩენილ მამულს,
საფრთხე დიდი რამ ელის
იმის ოჯახის ნამუსს.
სად არის ეხლა ცოლი,
სად დაეთრევა, სადა?!
რამ გაუღვიძა ასე
მას სიარულის მადა?...
შინ როცა არის მუდამ
წარბშეკრულია იგი,
არაფერს ამბობს, შემდეგ
ჩხუბისაც მოვა რიგი,
ტყუილ-უბრალოდ ხელად
მოსდებს ათასგვარ შარბებს,
და მეზობლების თვალში
სრულიად გააშავებს.
დასწამებს მრავალ ცოდევებს,
ლაღატს, ლოთობას, და სხვას,
და ბოლოს შეთხოვს უფალს
ასეთ ქმარისგან დახსნას.
შემდეგ, გადაშლის გაზეთს
და თედოს, განაცეხს,
გადაუკითხავს სწრაფად
„მანთაშევისა პროცესს“.
დასკვნასაც, შესაფერისს,
მიაბამს იგი თანა,
რომ საყვლეტია ყველა
კაცები ამისთანა,
და ამისათვის მისჯა
ქალისთვის ორ წლის ციხის,
გაუგებრობა არის!..
რა იყო გასაკიცხი?...
როცა ცოტათი შემდეგ
დაიშოშმინებს გულოსა,
გაუზიარებს დღიურს
ის ტანჯვას, დაგუშულსა...
ამ ფიქრებშია ტახტზე
წამოწოლილი თედო,
არ ეძინება, სივრცეს
გაცქერის უიმედოთ.
საკითხს გარშემო უვლის,
აკეთებს წრეზე—წრესა,
ფიქრობს, თუ რომელ ღემეს
აუღებს ცოლი წესსა...

ქართული სიტყვის დონკი-ხოტი

၁၆၅

გრიგოლ როგავაძე მექანდაკე ი. ნიკოლაძის ატელიუმი.



გრიგოლ რობაქიძემ სთარგმნა პიესა „გმირი“ სცენაზე დადგმის შემდეგ, არჩილ ბარულმა უძაგა ენა. გრიგოლი გაცხარდა და დასწერა „ქართულ სიტყვაში“ № 2 შემდეგი: „ქართული სიტყვის ბუნება მხოლოდ შვიდ ავტორს აქვს გაცნადებული. *) (!) (შეთვისებული უნდა იყოს, ალბად!)... სამწუხაროდ, რუსთაველს პირველი ადგილი არ უჭირავს (საწყალი რუსთაველი!!) ჩემს სიტყვაში მრავალია ახალი ლექსიკური და სინტაქსიური ფორმა *)“ როგორცუბოენაში ისე პროზაში.

დღეს ბევრმა არც კი იცის, რომ საგნისათვის მოჭრილი სიტყვა, რომელსაც რომელიმე მწერალი ხმარობს, ჩემს მიერ შექმნილია!

გრიგოლ ლაზარაძე

გრიგოლ რობაქიძე: (შოთა რუსთაველს) შენ უნდა დაბადებულიყავ ჩემს შემდეგ.
უნდა წაგეკითხა ჩემი თარგმანი „გმირი“, რომ გაგეგო: რა არის ენის სიძლიერე!

იაკობ ნიკოლაძე: (მეჩანდაკეს ვერ გაუგია, გრიგოლ ჭკუაზე შეშლილი იყო, თუ
 ეხლა მის ატელიეში შეიშალა).

გრიგოლ! რას შერეები! შოთას ძეგლის პროექტი არ დამინგრიო. ყურს რომ უშუწევ, განა, შენი პაოლო და ტიციანია? ძეგლია ყმაწვილო!

*) პირველი გრიგოლი იქნება, უეჭველია!

*) თავის ქება კატრად არ ღირს! გრიგოლი, ალბად, მოწამლულს შალვა კარმელის და ტიციან ტაბიძის ლიტერატურას გულისხმობს.

შენიშვნა ასოთ-ამწყობისა.

ს ა ს ი მ უ ე ზ ი .

რა მშვენიერი ვაჟია ეს პუანკარე!

მოსულ ტანს უშვენიერებს მშვენიერი, ახალი გემოვნების ფრაკი და კოხტა უღვავები ინგლისური ჯიშის მამლის კუდივით აღერილი აქვს.

არაფერი არ აკლია: ფული ბევრი აქვს და ქონება: თავიდან ფეხებამდე იარაღში ზის, გვერდზე სამოც და ხუთმეტ ღუიმიანი დამბაჩა ჰკიდია, ქუდათ ფართო ფრთებიანი ოჟნკერსი კეფაზე მოუგდია, ავტომობილის ნაცვლად, ტანკით სეირნობს. არა ნაკლები ვაჟია კერზონიც: სხვა სიკეთეს

გარდა, ამან მშვენიერი ცურვა იცის, შეუძლია ოკეანის ტალღებს შეებრძოლოს თავისი დაუღალავი „მზარულით“. იარაღი, ღვთის წყალობა მოგვეცეს, ამასაც ბევრი ჰქონდეს. მართალია, ჰუნაკარეს ახლა არ ეჭიდავება, მაგრამ... თუ ამათი მეგობრობა ისეთივე ხანმოკლე იქნა, როგორც ამას მისი მტრები ფიქრობენ, შეიძლება ჰუნაკარეს ცხვირ-პირი გაუსწოროს. ამ ორ ანოვანს გარდა, ბღღინავს კიდევ მესამე—ეს გახლავთ ფრიად წარმოსადგენი მოყვანელობის ვაჟკაცი, მუსოლინი. ის რომ დღონჯს შემოიყრის და წელში გაიმართება, მოყვარეს გულის მაღაშით მოეციდება და მტერს თვალებს დაუბნელებს.

სინემატოზ.



ქართული მუზა იყო შებოჭილი...



ცისკურ ყანწელებმა ბორკილები აჰყარეს და თაყვანი სცეს მას...

(„ეშმაკის მათრახიდან“)

ეს სამი კარგი ოჯახის შვილი ვაჟები ოსმალ-ხანუმს ეარშიყებოდნენ. ეს იყო, რომ მათ მეტოქე გამოუჩნდათ — ფრიალ სანდომიანი სახის კაცი, გერმანიის კაიზერი.

კაიზერმა, დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, მოხუც მაჰანკალს — ფრანც იოსების მეოხებით, გაიწვია და დაუახლოვდა ოსმალ-ხანუმს. ხანუმს მოეწონა ეს სამხედრო პირი და, შეიძლება, სიყვარულის ძალით, ან შეიძლება, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ვაჟის საჩუქრების (გებენ-ბრესლაუს და სხვათა) გამო ქორწინება გაიმართა. სამწუხაროთ, ქორწინება რაღაც კვირას დღეს მოხდა და არ გასულა დიდი ხანი, რომ რაღაც მიზეზის გამო, მოხდა კონფლიქტი და ორივე „რაზვოდში გავიდა“. ხანუმმა ფიცი დასდო „აღლახის წინაშე, რომ შემდგომ სამხედრო პირებთან არავითარი დამოკიდებულება აღარ დაეჭირა.

ამ ამბით გახარებული წინათ ხსენებული სანი ვაჟკაცი დიდის ამბით ესტუმრა ოსმალ-ხანუმს, რომელიც ახლა უკვე ფეხმძიმეთ იყო.

კარგი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს სამი ვაჟი, ჩასიძების მიზნით, ჩავიდა სტუმრად ხსენებულ პირბადიან მანდილოსნისას; თვითეული მათგანი მაჰანკალს მაჰანკალზე უგზავნიდა, მაგრამ ყოველი ცდა ამოიღარა. ამასობაში ოსმალ-ხანუმი დილოგინდა და ეყოლა ყოვლად მშვენიერი ასული, რომელსაც სახელათ ბენესეტ-ხანუმი უწოდეს. პატარა ხანუმი მართლაც რომ დღითი დღე იზრდებოდა და მშვენიერდებოდა, ამასთან საუცხოო გონების პატრონი აღმოჩნდა. ახლა კი პუანკარე სხვა ჰანგზე ამღერდა: საგანგებოთ ჩაცმული, წელში დამბაჩით და ჯიბეში გერმანიიდან წა-

თქვენი ოჯახის დიდი მეგობარი“. წარმოსთქვა პირში ნერწყვ-მოსულმა პუანკარემ და თან უღვამებზე ხელი გადაისვა. „რა მსუნავი თვალები აქვს ამ მოხუცს“, გაიჟუჟრა რაღაც ხელსაწმეში გართულმა ბენესეტ-ხანუმმა. (ამას არ უყვარდა დედასავით უქმათ ჯდომა).

„დაბრძანდით, ბრძანეთ: რა გნებავთ?“

პუანკარემ ჩაახველა:

„მე, როგორც მხედვეთ, ჯერ საკმაოდ ჯეელი გახლავართ; ამასთან ქონების პატრონიც, დიდი ხანია სურვილი მაქვს თქვენი ოჯახის დამოყვრების, მაგრამ შესაფერი დრო გერ მოვიმარჯვე. ახლა კი ვხედავ, რომ, თუ თქვენ გამაბედნიერებთ და გამხდით ღირს თქვენი მეუღლეობისას, ჩემს ბედს „ძალი არ დაყუდს“. ჩვენ მაშინ შიგვადლია ხელში ჩაიკიდოთ თქვენი ძველი სამულობელოები: საბერძნეთ-რუმინია, სერბია-მთაწვეთა, კიპრი, ბოსნია, გერცოგოვინა, ტუნისი, ტრიპოლი, კავკასია და ბევრი სხვა ადგილები. აგრეთვე შეგვიძლია, რაც უმთავრესია, ჩვენი შეერთებით შევაშინოთ ის წითელ სამოსიანი ვაჟი, რომელიც ასე ამაყათ ნავარდობს იმ სისხო ქვეყნის არემარეში, თან შენც გესიყვარულება და ჩემ საბრძანებელშიაც ხალხს მიღლევენ“.



მაგრამ „ივერიელებმა“ იგი ისევ შებოჭეს.

ნართმევ ფულებით, ის წავიდა სავიზიტოთ, სრულიად ახალი მოდელის ტანკაში გაჭიმული.

მივიდა და კარებზე მიაკაკუნა.

ვინ არის, მობრძანდით!“ გაისმა ბენესეტ-ხანუმის სირინოზის ხმა.

„ეს მე გახლავართ! ნება მიბოძეთ, წარმოგიდგეთ! პუანკარე. ალბათ, გავიგონიათ,

„ეს რომელ ვაჟზე ლაპარაკობთ თქვენ?“ იკითხა ლოყებ წაწითლებულმა ბენესეტ ხანუმმა, რომელსაც წითელ სამოსიანი ვაჟის ხსენებამ რაღაც უჩვეულოთ აუძგერდა გული. პუანკარეს გული მოქცა. იფიქრა: ჩემმა მოყვანილობამ და მოხდენილმა სიტყვებმა იმოქმედო, და დამბეზღელის კილოთი წარმოსთქვა: „ოჰ, ქალბატონო, რომ

იკოდეთ, რა ავაზაკია; ჩემი და ჩემისთანა დიდი კაცების მეგობარი ხელმწიფე ძირს გადმოაყირავა, ჯაფით და ოფლით შეგროვილი ჩვენი და იქაური ჩვენი მეგობრების ქონება წაიღო და საქვეყნოთ შარა გზაზე დასდო, რომ ყველა ვინგინდარამ ისარგებლოს; განსვენებულ იქაურ ხელმწიფეს ჩემი რაღაცა „ორი კაპიკი“ ემართა და იმაზე უარი მითხრა: „შენ ჩემ მტრებს ეხმარები და ზარალი მომაყენებ“... რაც ბაქოში ნავთი იყო, იმას თითონ დაეპატრონა და სარგებლობს ძმა ბიჭებში; შავი ზღვიდან ბაქოსკენ წასვლა მინდოდა; როგორც კი ეს გიგო, მაშინვე წამოვიდა და, სადაც კი ბაქოს არე მარეში და ამიერკავკასიაში პატიოსანი ხალხი იყო, რომლებთანაცა ლაპარაკი შეგვეძლებოდა, ისინი სულ ყველა გარქვა; ზოგი აქეთ გამოაბუნძულა და ზოგი იქ ყავს მომინაურებული. ახლა გამაგრდა იქ, მოკიდა ხელი ბარსა და ჩაქუჩს და გვემუქრება: „ამით გაგიტეხავთ თავსო“. გულადობით განსვენებულ თქვენ პაპის პაპა აღამაჰმად ხანს გავს. ლამის ქვეყანაზე პატიოსანი ხალხი აღარ გავგაჰაჰანოს. ეხ, ვაი და ვაი იმის თავს, ოღონდ ჩემი ვალები მოეცა, ლამის არის თამასუქებს ობი მოეკიდოს. მე სხვისი ვალი მაქვს და იგი მაღრჩობს, თორემ, ასე რომ არ მქონდეს საქმე, ვინ ოხერი შეედავება იმ ყაჩაღს. ჩემთვის ვიქნებოდი.

„მერე ის ვაჟი თქვენ სამფლობელოს, ან ჩემსას ხომ არ ემუქრება?“ იკითხა ადელ-ვებულმა ბენესეტ ხანუმმა, რომელსაც წითელი ვაჟისადმი დიდი ინტერესი აღეძრა.

„არა ბატონო, როგორც თითონ ამბობს იმას ჯერ საომრათ არ სცალია, ყანა-ბაღში უნდა ვიმუშაო და ჩემი ოფლით უნდა ვიცხოვრო, ამბობს, მაგრამ მარტო ესეც საკმარისია ჩემდა საზიანოთ. სიყმეს გეფიცებით, რომ, როდესაც ჩემი ბიჭები იმის ამბავს უყურებენ, ჩემი აღარაფერი სჯერათ: „ჩვენც გვინდა ისე ვიცხოვროთო“, იძახიან, მიხდნენ გაფიცვებს, მემუქრებიან: „ჩამოგაგდებთ და შენ ქონებას ჩვენ გავიყოფთო“. მოდი და ამის გამგონეს ელეთ-მელეთი ნუ მოგვივა. თუ კი თქვენი ძვირფასი ყურადღება ჩემსკენ გადმოიხრება, მაშინ ჩემ ბედს ძალლი არ დაჰყუფს; მე რომ იქ ჩემ საზღვრებს კარგათ გავამაგრებ, თქვენს ეზოსაც მაგრათ შემოვლობავ და ეზოში ისეთ ქრთაქ ძაღლებს დავადამ¹⁾ ჩემსას და ჩემი მეგობრისას, რომ იმ ყაჩაღებმა შიშით ვერც კი გამოიხედოს აქეთ. ვიცხოვროთ ტკბილათ და უზრუნველათ. მე შენ ყველაფერს გიყიდი. მართალია, ტკბილეულობა ბევრი გაქვს, მაგრამ მე ისეთ სათამაშოებს და ჭრელ კაბებს მოგიტან სახლიდან, რომ ყველა მეზობლები შურით მოკვდებიან. მე ვიცი, რომ შენ ძალიან მოსწონხარ კერზონს და მუსოლინს, მაგრამ იმათ არ დაუჯეროთ, მატყუარები არიან. ერთმა ისეთი ცურვა იცის, რომ მართლა კარგია, მარა იმას რომ ენდო, დაიწყებს თავის მოწონებას და მე-

¹⁾ ძაღლი რაღა საჭირო სქნება იქ, სადაც პუანკარე მოიკალათებს?

შტრეზემანი კრონპრინცს იფარავდა, მაგრამ კრონპრინცმა კი შტრეზემანი ვერ დაივარა...

ტი ცურვით იქნება სადმე კიდევ დაიხრჩვეს.²⁾ ამას გარდა, იმას ბევრი საყვარელი ყავს შორეულ ქვეყნებში და შენ მარტო დაგტოვებს. რაც შეეხება მეორეს, თუმცა ისიც კი იძახის: „ქვეყნის უკეთესი ვარო“, მაგრამ დიდი ვერაფერი შვილია; თან მეტის მეტი მკაცრია, ვინ იცის, გაჯავრებულ გულზე იქნება შენც დაგიწყოს ცემა და მე კი დამადნობს ის აზრი, რომ მაგ ფუნთუშა სხეულს იმ საძაგელის წკეპლი გაეკაროს. ამასთან ნუ დაივიწყებ, რომ ის წითელი არამზადა საშინლათ ემტრება მუსოლინს და, ხომ გაგიგონია: „არა თუ კაცი — კაცს, მთა შეხედება მთასო.“ მართალია, ჯერ კი არ შეხედერიან ერთმანეთს, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ერთ მშვენიერ საღამოს სადმე ქუჩაში შეხედეს ის ავაზაკი და წააღრჩოს უეჭველათ. ასე, რომ ყველას გირჩევნოდეს ჩემი მეგობრობა, თან გასოვდეს, რომ მე

²⁾ დაიხრჩება და, „წინ-წყალი, უკან-წყალი, შვაში თითონ“

დიდი ხანია გეტრფი“, წარმოსთქვა ბებერმა ჯადომ და თან თავისი გაქონილი ხელები გაუწოდა.

„უპ, შენი კუბო ვნახე“, სთქვა გულში ბენესეტ-ხანუმმა: „მოითმინეთ, ბატონო, მომეცით უფლება ჩემ მომავალზედ მე თითონ ვიუიქრო. სტუმრათ და ასეთათ მე ყოველთვის მიგიღებთ, ავარამ თქვენთან შეერთემე შეუძლებლათ მიმაჩნია, ჯერ ერთი, რომ თქვენ ძალიან ბებერი ხართ და ჭორიკანაობის და სხვის ლანძღვის მეტი არაფერი შეგიძლიათ და მეორეც, მე მინდა მხოლოდ შინ გავიხედო-გამოვიხედო. მაღლობა ღმერთს, ქვეყანაში კაცი არ დალეულა, რომ ჩემისანა ხეთისნიერი არსება თქვენებრ უკბილო მაჯლაჯუნას არ ჩაუვარდეს ხელში“...

პუანკარე კინლამ ჩაიკცა: „მაშ, ეგრე, გულზე ხელი მკარით რაღა?“ ჩავარდნილი ხმით იკითხა მან: „არ მოგწონვართ?“ — „დი-ალ, დი-ალ, ძალიან მიხედით ბაბულო!“ უპა-

გერმანელი მუშა-უბრეზანის „წასვლის“ გამო:



ეხლა ვინ-ღაა კიდევ რიგში, ნეტავი?!

სუხა ბენესეტ ხანუმა და თან ზარი დააწკარუნა: „გაცილე ეს ვაჟბატონი და ეზოს კარები მოკეტე.“ უბრძანა შემოსულ მეკარეს.

ელდა ნაკრავი პუანკარე თითქმის ხელით გაიყვანა მეკარემ.

კერზონმა ეს ამბავი არ იცოდა, მას ეგონა პირველათ მე ვაკეთებ აუდიენციასაო. არც აცივა, არც აცხელა, გადახტა წყალში და ხან მხარულით, ხან ყურყუმლობით მიადგა ქალწულის ციხე-დარბაზს.

„ეგრე გაწუწული როგორ გაჩვენოთ ქალბატონს?“ გაჯავრდა მეკარე.

„შენ ფიქრი ნუ გაქვს, ეს მე და ის შენი ქალბატონი, მოახსენე აქ არის თქო“, წარბ შემკუმხვით წარმოსთქვა კერზონმა.

კარები გაიღო. „რით შემიძლიან გემსახუროთ?“ იკითხა სირინოზმა.

„ოხ მშვენიერთა ხელმწიფე! სამსახური მხოლოდ ჩემი საქმე იყოს; მთელი ოკეანე გადმოვცურე შენი გულისთვის, კვალადაც მზადა ვარ ასეთი გმირობა ჩავიდინო, მთელი თვალ უწვდენი ზღვის ზედაპირი ჩემს გემებს გაუხდიათ საბანაოთ, მაგრამ მე ბედნიერი მხოლოდ შენით ვიქნები. იყავი ჩემი და ყველა ორგული ჩვენი თაყვანის მცემელი შეიქნება. რათ გინდა ღიპიანი პუანკარე, ან პირზე დორბლ მორეულ მუსოლინი? შეიქნე ჩემი თუნდაც იმ წითელი ეშმაკის ჯიბრზე, რომელიც ყველას ყელში ბურთათ გვაქვს ჩაჩრილი. იმ შეჩვენებულმა მთელი

ინდოეთი ამიჯანყა და შენ მაინც მყავდე იმის ჯინაზე ჩემ მეგობრათ. „თქვენ სამხედრო პირი ბრძანდებით, როგორც გეტყობათ, არა?“

კითხა ბენესეტ ხანუმა.

„რასაკვირველია, ქალბატონო, უმისობა როგორ შეიძლება? მეტადრე ახლანდელ დროში, როდესაც ყოველ ფეხის გადადგმაზე მახე არის დაგებული. დღევანდელი მეგობარი ხეალ ყელში ხელს წაგიჭირებს, თუ დრო იხელთა. დიად, სამხედრო პირი ვარ, მაშ, მშვიდობიანი შრომისთვის ვინ მოგაცლის?!“

— „მე დედა ჩემმა დამარიგა, რომ სამხედრო პირებთან კავშირი არ დავიჭირო და, რადგან თქვენ მუდამ იარაღი და ცარცვა-გლეჯა გელანდებათ, ამიტომ, ნურას უკაცრავად, თუ უარს გეუბნებით, მშვიდობით ბრძანდებოდეთ“.

გაცოფებული ინგლისელი გულში მჯილის ცემით გავიდა.

ჯერი მიდგა მუსოლინზე: „გააღე ჩქარა კარები“, შესძახა მან მეკარეს. კარები გაიღო.

„ეს რა ჯიშის არის, ან რომელ სამხეცედან გამოვარდნილა?.. გაიფიქრა ბენესეტ-ხანუმმა.

„სალამი მეზობელო“, დაიქუხა მუსოლინი და თან იარაღი ააჩხარუნა. „ეს მე ვარ, ხომ მიცანით, რაღა ბევრი გავაგრძელო, მე განვიზრახე თქვენზე დაქორწინება. თქვენზე

უკეთეს საცოლოს მე ვერ ვიშოვი და, ასე რომ არ იყოს, ბევრი ძეგნის თავი არ მაქვს, სხვა საქმეებიც ბევრი მაქვს გასაკეთებელი. მე მგონია, სასიძოთ ვერ დამიწუნებთ. გავლენა დიდი მაქვს; ჩემსას მაინც ყველას ეშინია ჩემი“.

„ეს ხელი რატომ შეგიხვევიაო?“ იკითხა ქალმა.

„ეს? ეს არაფერია: იქ ცოტა აჯანყებას ვით მომიხდინეს, და, მისი ჩაქრობის დროს უცბათ ხმაზე ხელი შევაჭერი. მაგრამ ეს არაფერია; ღვთის წყალობა მოგეცეს, მე ისინი დავამწყწარე. ახლა კრინტს ვერ სძრავს ვერც ერთი. ცხვირს რომ დავაცემინო, მთელი სამფლობელო ფეხზე წამოხტება და „ღვთის წყალობას“ მეტყვის, ყველას უსწორდება: შინაურსაც და გარეულსაც, მაგრამ ერთი წითელი ბანდიტი გადამეკიდა მტრათ, ჯერ პირდაპირ თუმცა არაფერი უკადრებია, მაგრამ მაინც „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“, შიშით ღამით კარში ვერ გამოვსულვარ; რა არის, სადმე არ ჩამისაფრდეს და რამე მარცხი არ მიყოს.“

ისე თუ კი შენ გამაბედნიერებ, მაშინ აღარ მიშავს, სამაგიერო პატივისცემა ჩემს კისერზე იყოს; სულ იარაღში ჩავსვამ შენს ქვეშემოდომებს; ჩემზე უკეთეს საქმროს მაინც ვერ იშოვი. მე შენ გეტყვი გაიძვერა კერზონ-პუანკარე არ მომეტოლოს.“

„აღმართი, დაღმართი, არც ერთი ხართ წალმართი, ყველა თვალში ბეწვს ამოართ მევთ ადამიანს“ გაიფიქრა ბენესეტ ხანუმმა.

„სამწუხაროთ, მე დანიშნული ვახლავართ“ უპასუხა ხმა მაღლა. „ვიზე ბატონო, ვინ არის ის ჩემი ცოდვით სასვე?“ ჩაილულულა მუსოლინი.

„ამას ქორწინების დღეს შიგატყობინებთ“, უპასუხა მორცხვით კდმა მოსილმა და თან ბოდიში მოიხდა: დასვენება მეჭირვებაო!.. დასვენება კი არ ეჭირვებოდა, მაგრამ გული ეუბნებოდა: მალე მოიშორე ეგ სტუმარიო.

მუსოლინი დიდი ხნის წასული არ იქნებოდა, რომ ეზოს მოადგა წითელ სამოსიანი ახოვანი ვაჟი. „მასპინძელო, სახლში ხარ?“ დაიძახა მან მედგარი და მეგობრული კილოთი.

„მობრძანდით, ბატონო, ძაღლები დაბმულია“ გაისმა თვით ბენესეტ-ხანუმის ხმა, რომელიც თითონ გამოვიდა ძვირფასი სტუმრის შესახვედრათ.

„მობრძანდით სახლში“, მიიწვია ქალმა სტუმარი და თან ჩადრის კიდე შეარზია კიკლუცათ.

„გახლავართ, ჩემო ბატონო“ გადუნდა ვაჟმა მაღლობა და თან საულავაზე ხელი გადისვა, სადაც ოდნავით მოსჩანდა ახლად ამოსული ბალანი. „ეს რა მშვენიერი ქმნილებაა, გაიფიქრა გულში; აფსუსი არ არის, რომ ამას პუანკარესთანა მაჯლაჯუნები ემეტოქებოდნენ?“

მიირთვით ყავა, აი ეს შაქარლამა გასინჯეთ, ან ეს შარბათი“, ეპატიჟებოდა მშვენიერი დიასახლისი სტუმარს, „თან მამბეთ: რაზე გარჯილხართ?“

ვაჟი აიტყვი, მართალია, საზოგადოთ
გამბედავი იყო, მაგრამ ახლა კი ენა დაება;
„არ ვიცი, საიდან დავიწყე, ესე იგი...
თქვენ, ალბათ... მე მინდა, რომ... ერთი
სიტყვით... მე თქვენ... შემოყვარდით“...
გამოაფქვია მან და თან ოფლი მოიწურა.
„მე მინდა ყველასათვის კარგი და მით უმე-
ტეს-თქვენთვის... მე ვიცი, რომ თქვენ ხელს
ბევრი ეპოტინება, მაგრამ მე ისინი ამის
ღირსათ არ მიმაჩნია, თქვენისთანა ნორჩ
ქმნილებას მე არ ჩაუვლებ იმ მსუნაგებს
ხელში! მე მინდა, რომ ჩვენ ერთად ვიყოთ
ჭირში და ლხინში და დაე, რაც მომივა,
მომვიღეს“.

„თქვენ სამხედრო პირი ხომ არა ხართ,
ეგ ხელები თოფის ჭერის გამო ხომ არა
გაქვთ დაკოჭრილი?“

„ოხ, ქალბატონო, რომ იცოდეთ, როგორ
არ მიყვარს ომი და სისხლის ღვრა, მაგრამ,
თუ უმისობა არ შეიძლება, მაშინ ლომი
ვარ. ეს ხელები ჩაქუჩმა და ბარმა დამი-
კოჭრა; ეს რამოდენიმე წელია, რაც სულ
ვმუშაობ, თუ ბედნიერს გამხდით, წამობრ-
ძანდით და გაჩვენებთ, რა მშვენიერი ბა-
ლები და ბაღები მაქვს! სულ ჩემი ხელით
ვმუშაობ და ვცხოვრობ კეთილად, მართა-
ლია, აქეთ-იქიდან კი მიბღვრენ. მაგრამ
იმათ შინაურებისთვის ვერ გაურთმევიათ
თავი და მე რაღას დამაკლებენ.“

ჩემი დევიზი შრომაა და თუ თქვენც ამას
იზიარებთ, მომეცით ხელი“... წარმოსთქვა
აღელვებულმა ვაჟმა.

„თქვენ ისეთი ხართ, როგორსაც მე ვე-
ძებდი... უპასუხა მორცხვით ქალმა და ნორ-
ჩი ხელები აზვირთებულ ვაჟკაცს გაუწოდა.
ტერსიტი.



მუშტარი—ნოქარს:

აბა, ჩემო პაწია!

იქით რომ „ბარომეტრმა“ დაიწია,

აქეთ „შაქრომეტრმა“ რისთვის აიწია?!

აბა, მე რა ვიცი? ჰკითხეთ, აი „ძიას!..“

ლიფუარაგები მოვარიღან.

მსოფლიო.

თუმც მზემან კვლავცა იბრუნა ჩრდილოეთისკენ პირია—
თოვლი და ყინვა არ მსუსხავს, გაგვიადვილდის ჭირია.—
თუმცა დაკარგულ შვილებზე დედები აღარ ტირიან,—
ლხინობს და ლაღობს ყოველი: გლეხი, მუშა და მწირია.

მეფე ტახტზე ველარ ჯდების, პიროვნება იქცეს ჩირად,—
ხალხს მიქონდეს სამსხვერპლოზე სისხლი, ხალხის შესაწირად,
ცრემლი თვალზე შეიშრობის, ლხინი აღარ იქცეს ჭირად
მონა აღსდგეს და შეერთდის ბატონთ გულის გასაგმირად.

უცნაურ ცეცხლით იწვიან ქალაქები და დაბები—
უსწრებენ ერთი მეორეს ამ ქვეყნად დიდი ამბები...
ტელეგრაფების ბეჭედასა ველარ ასწრებენ სტამბები...
მეცა მსურს ამ დროს, ბოზოქარს, მიუძღვნა დიფერამბები.

პუანკარემან ვერ ჰპოვა მშვიდობის გასაღები
(ალბათ, ვილგელმა ჩაყლაპა)—ეს მეტად გასაგებია—
გულში კი ფიქრობს: ბერლინი უთუოდ ასაღებია—
ამაში მას მხარს დაუჭერს ინგლისი, ქვეყნის ბებია.

რეინი ჩამოაცალეს ერთ დროს მძლავრ გერმანიასა.

პრეკა პუანკარემ: „მე უფრო დავკრეფ მუნ ნახსა ისა,
ჰამბურგში ჯარებს გავგზავნი, არ გავაკარებ ნიავსა
და ამ მოსისხლე მეზობელს გავსრესავ, როგორც ჭიასა“.

შეერყა კვალად შტრეზემანს თვის ტახტის საძირკველია
(აქამდის რად არ დაეცა, ეს უფრო საკვირველია)
მისნი ესდევნი გაიქცნენ, (მათთვის ეს არ პირველია)
კარრი და ჰიტლერ აწვების, საქმე აქვს სატირელია.
მუნ ესდევებს თავს დაატყდათ ისტორიის რისხვა დიდი:
მძიმე ჯვარი ველარ ზიდეს, ზურგზე ძალით ანაკიდი,
თვის რიგებში აღმოაჩნდათ ბევრი სუსტი, ბევრი ფლიდი,
დაიქსაქსენ უმოწყალოთ, აერიათ გზა და ხიდი.

ფაშისტებს აუთამაშდის მუცელი ბატონობისა,
სისხლით და ცრემლით ვით სურდის თესვა ვითომდა ძმობისა,
რიდი დაკარგეს საქმისა, ყველასთვის დასაგმობისა,
ვერ გახდენ ღირსნი ხალხისა და მათი ოდნავ ნდობისა.
ასეთია ეს ქვეყანა, მრავალფერი, ცრუ და მრუდე,
ახალ ომთა აჩრდილებზე დაქანაობს სისხლის ბუდე,
დღეს მსოფლიო მონობისა და ჩაგრულთა არის ზღუდე,
ოხ, ქვეყანავ, მტარვალთ საქვე! ხვალ-ხევ უნდა გადაბრუნდე!..

დონ-ბაზილიო.

„საღმართის გაზარე“

— ცხინკხ! იცხინკხრთფუ!..
— წყალობა წმინდა კალუსტინესი!..
— გმადლობთ!.. ცხინკ!
— რა ამბავია? რა შეგემთხვათ?
— სურდოა! ხე-ხე-ხე... სურდო შეპყრია
ქალბატონს.
— ხა-ხა-ხა-ხა... კის-კის-კის-კის... ხე-ხე-
ხე-ხე!..
— აი, ჯანაბა თქვენს თავს! არ გინახავთ
მზის სინათლე, თუ რა ამბავში ხართ? რა
მოგლით?!

— ცხინკ! ცხინკ! ცხინკ!..
— კიდევ!.. რა გემართება, ქალო?!
— ქალოვო?! ვის უბედავს, თუ იცის?!..
— არაფერია, ქალბატონო! შეცდომით
მოუვიდა!..
უკაცრავად, ბატონო! არ შეიძლება, ცო-
ტა ზრდილობიანად იყვეთ? ამ ჩემ ქალბა-
ტონს გზაში, ცოტა არ იყვას, დასცხა და
შეოფლიანდა. აქაც ამ ოხერმა მჭვალავმა
ქარმაც გაჰკრა და შენაცხივებზე სურდოც
წამოანადა!..
გთხოვთ, ქალობით და სხვა ასეთი „უდი-
ერი სიტყვით“ აწი მაინც აღარ მოიხსე-

ნოთ... იცნობდეთ, მისს ელენ! ნიუიორ-
კის ცენტრალურ ბანკის გამგის მეუღლე...

— მეუღლე კი, არა ულლის მდები... დამ-
მძიმებელი კიდევ, თუ რომ ეს საჭიროა!..
— დიას, როგორც ქალბატონი ბრძანებს!..
— ხა-ხა-ხა-ხა!.. დიდი ვინმე ბრძანებუ-

ლა? ბანკირის მეუღლე! გაგვაცნო რაღა!..
ვითომ რაო, რომ ბანკირის მეუღლეა?!
ალბათ, ღიპიანი ვინმე იქნება, ბანკის უჯ-
რედებში ბატონით მობაჯბაჯე...

— უკაცრავათ, არც ღიპიანი... გამხდა-
რი, ჩაყვითლებული... ასე გეგონებათ, ქო-



გლეხი. ათი მეშოკი ხორბალი მოგცე მაგ ძველ შინელში?!

საქულისანტი. რას ამბობ, ნათლიმამჯან?! ოცი მეშოკი ხორბალიც არ ეყოფა! ხორბალი ბალახის თესლია, ეს კი „ზაგრანიჩნი“ რამაა, აი!

გლეხი. მაშ, ყმად უნდა გამიხადო?!.

საქულისანტი. რის ყმობა? ერთობა არის! ფასი მომეც, საქონელი მოგცე, რაღა!

ნი გამოუწურავთ, გაღაუდნით და მერმე შიგ ამოუვლიათო...

— მით უარესი... ქონსა კი არა, ფილტვებზედაც მწყურადად იქნება...

— ფილტვებისა კი რა მოგახსენოთ და ჭკუით კი...

— ჟოზეფინა!.. სხვის ჭკუაზე ლაპარაკს თავი ანებე! საკუთარს ჭკუას ძალას ნუ ატან და ენას ნებას ნუ აძლევ!

არ იცი, რომ უცხო საზოგადოებაში ხარ?!

— მამე... მამე... ..

— საბრალო! როგორ ჩააკმენდინა ხმა...

— ქალბატონო! ეგ მანდილოსანი თქვენი რა არის?

— ღვთისგულისათვის, ცოტა ხმას დაუწით... ეგ ღვთის რისხვა და ჯოჯოხეთის ნწუხარებაა ჩემი. ეს ჩემი ქალბატონია! აგერ ოცი წელიწადია, რაც მაგას განუყრელად ვემსახურები... ზედმიწევნით ვიცი მაგისი ხასიათი... ზემოთა არ უყვარს... ქმარიც კი ისე ჰყავდა ჩამომბული ბუკისიზე რომა... უნდა გენახათ, როგორ ათრევდა შენგრეულ ცხვირითა...

— ცხინკ! ცხინკ!

— ესეც ცხვირის ხსენებაზე... ეტყობა, რომ ძალიან გამოვბერილა.

— უი, უი, რა შეხუთულად ვეყარნეთ... თვალებიც კი დაუდგეს ჩვენს პატრონს...

— ეგ რომელ პატრონზე ლაპარაკობთ? ბანკის...

— აბა, რასა ბრძანებთ... ბანკირმა უკვე „წიგნი წაიღო“. ჩვენ, მე და ჩემი ქალბატონი, მარტონი დავყარა... ჩვენ ჩვენი თავები ჩვენის საკუთარის ნებით მივიყიდეთ აი, ამ სალახანასა, აგერ ქოხის წინ რომ...

ქალბატონო! ქალბატონო! მისს ელენ! არა, ეს ის არ არის... იმას წვერი...

— ხა-ხა-ხა-ხა... ხე-ხე-ხე-ხე...

რა ჯანაბა გახარხარებთ?.. მისს ჟოზეფინას თავი ისევ ნიუიორკში ჰგონია... ეს

საბჭოთა რესპუბლიკა გახლავს, მისს! მე კიდეც ყოფილი ცირკის დირექტორი! ჩვენ გზაში ერთად ვიყავით, თუ გნებავთ ერთადაც ვიმოგზაუროთ: ერთ გემზე, ერთ ვაგონში, ერთ ეტლში, ერთი მუშის მხარზე, გამომწყვდეულებმა ერთსა და იმავე ჯვალში.

— უი, თვალი კი დამიდგეს! როგორ თუ ჯვალში?!

— დაწყნარდით, ქალბატონო! თქვენ უკვე ქალბატონი, აღარ ბრძანდებით, არამედ ნივთი! ნაყიდი გაყიდული, დახმარებათ შეწირული, განწირული, განწირული, დატვირთული, განტვირთული, გაფერთხილი, გაყიდული, რამდენჯერმე გაყიდული და ეხლა ისევ გასაყიდად განმზადილი.

ხა-ხა-ხა-ხა... რა კარგათ არის თქმული: შეწირული... განწირული... გაყიდული... გაყიდული... აღარა ჰკლებია რა... ხა-ხა-ხა-ხა... ხი-ხი-ხი-ხი... ხე-ხე-ხე-ხე...

ყურს ვუგდებდი და მოაცებდა ის გარამოვბა, რომ ლაპარაკი და სიცილი გაუთავებელი ისმოდა, ხოლო ცოცხალი ადამიანი კი არაფერს მოსჩანდა, გარდა ღიპიანი სპეკულიანტისა, რომელიც თავის სავაჭრო კარვის წინ ეგრედ წოდებულ „ამერიკულ კომიტეტიდან“ გამოტანილს ცალს ხსნიდა, იჭიდებდა ჭკუიან ძონძებს იღებდა და თავის კარავში უწესრიგოთ ჰფენდა.

ყველაფერიდან სჩანდა, რომ ეს მუსაიფი გაემართა ამ კონკაძელებს, რომელთაც თავიანთი თავები, ჩვეულებრივი გულზეადობის გამო, ჯერ ისევ ყოვლად მეპატრონეობათ ჰქონდათ წარმოდგენილი.

აღრე დილა იყო და ბაზრის გასაღვლები ჯერ კიდევ თავისუფალი მოსჩანდა... გამიკვირდა, რადგან ჩვეულებრივ ამ ნაყარ-ნუყარს მუდამ დღე აუარებელი „ბუხები“ ახვევია გარს...

სპეკულიანტის სახეზე მე ამოვიკითხე სიმშვიდე და სათნოება. ეს, ალბათ, იმის გამო, რომ მომბაზვრებელი „ბუხები“ ჯერ კი-

დეც არ მოფრენილიყვნენ... ბი“ ხომ უეჭველად მოვლენ... და სპეკულიანტიც პირში უკვე გრძნობდა თაფლიან ნერწყვს...

ვინაიდან... „საქმე ბუხებია, თორემ „თაფლი“ ამერიკიდანაც კი მოვა“...

ონ.

შარადა.

სხვებმაც დასწერეს შარადა, მაგრამ რა საამური?

თუ კოჭლმა შენც აგაკოჭლა, ეს რაღა სამსახურია?!

ბოდიშს ვსთხოვ ყველას იმისთვის, ვინც გვიწევს დახმარებას:

გვიცხოვს და გვიცხოვს შარადებს, ჩვენცა ვგრძნობთ ნეტარებას,

რადგან მოკლედ თქმა შიარით შოთასგანაც არის ნაქები

და რა ვქნათ, თუ ცოტას კოჭლობს: მზეზედაც არის ლაქები!

აწცა თქვენც სიტყვა ეძიეთ შარადის დასაწყებათა,

ოთხი ასოთი დასწერეთ, გამომხატველი კრებათა,

შუაზე „ქაშარ“ მორტყმული, ან კიდევ—თავს და ბოლოსა,

ვერ დაშორდება სხვებს ერთი, რაც უნდა გაიბრძოლოსა.

კრებითი არის სახელი,

მსახველი ბევრგვარ ცნებათა:

ჭვირთად, შეკვრათ, თუ შეკბილვით, თაიგულად, თუ ძნებათა...

სინონიმი ყველასი, ნაცვლობის არა რცხენია;

მოჰგლიჯეთ ბოლო ანბანი, სამი, თავიდან—ჩვენია..

კვლავაც, მეორე მონახეთ:

მიდით კავროსტას ბინაზე,

ყველა იმათი ტოლები

მარდათ გარბიან სინაზე,

თუმც თითონ ჰაერს მოაპობს,

რონ მოჰქრის, გააქვს ზრიალი,

სურს თვალწინ გადაგვიშალოს

ცხოვრების ჩარხის ტრიალი...

ნიშნებათ სმენა შეიგრძნობს,

ქალაღის გადასცემს ხელია,

უშვალოდ შორი მანძილზე

შორით ყველაფრის მთქმელია,

ხუთი ასოთი დაწერილს,

ერთი მოჰგლიჯეთ დასასრულს,

დე ქარმა უთხრას „ამინი“

მას, ჩვენი კალმით გაბასრულს...

რაც ღარჩა, შეეკრათ ერთ სიტყვად,

მით დავასრულოთ შარადა,

სულით მახინჯი მკვლელისა

ის გამოდგება გვარადა.

თუმც მას, როგორც ბრმა იარაღს,

ზურგს უმაგრებენ „ისინი“,

ევროპის ჰაერს ვისიც დღეს

ახშობს და სწამლავს სისინი...

ის ვითომ „სულშიც“ კი მისცეს,

ასტეხეს დავიდარაბა,

მაგრამ გოლგოთის წინ ისევ

განთავისუფლდა ბარაბა.

ენუქა.

ნიანგი ფოსტის განხილვის დროს თავის კაბინეტში




ზის ნიანგი და
იხილავს ფოსტას:
„ხელი გაუხმეს
ამის აქ მომტანს!
ათასში ერთი
ძლივს მოდის „წმინდა“,
მაგრამ გარჩევა
ამის არ გინდა?!“
ჩამოსდის ცრემლი
თვალთაგან ცხელი...
სიფრთხილით კალამს
მოჰკიდა ხელი
და მჯდომი თავის
რედაქციაში
შემდეგს უსტარს სწერს
პროვინციაში:
„კორესპონდენტებს,
ამ ჩვენს აგენტებს
პროვინციაში,
აქვე სიაში
ვისიც გვარები,
სახელ-ფარები,
ფსევდონიმებით,
მძიმე-მძიმეებით,
თუ მსუბუქ სიტყვად,

იმათთვის რისხვად,
ვინც ცოდვილია,
ჩამოთვლილია,—
ვუბრძანებთ ჩვენა:
მომართეთ სმენა:
კვირიდან—კვირით,
დატვირთულ ვირით
უნდა გვესტუმროთ,
არვინ გვეხუმროთ
და სახუმარო
არ დაგვიმალეთ,
თორემ თქვენზედა,
მჯდომი ცხენზედა,
ნიანგი, მკაცრი,
ტყვიის მფრქვევს დასცლის...
ახლა ისმინეთ:
სწერეთ, იცინეთ,
კბილი აჩინეთ
და სხვაც აცინეთ...
თორემ შრომაში,
არა რომანში,
არამედ სოფლათ,
სად ჰღვრიან იფლსა,
არ გვარგებს დარდი.
ჰხამს ხელი, მარდი.
სახე მთვარული
და მოხარული...
შორს, თვალზე ცრემლი!

და მკერდშიც გრდემლი
უფრო იჟღერებს,
რაიც ჩვენს მტერებს
გაუტებს წელსა
და ქვეყნის მხსნელსა
მუშათა ძმობას,
საბჭოთა წყობას,
უწევს განზრახულს
მტკიცე სამსახურს!..
ეს ჰიუმორის
მწერლობის შორის
დანიშნულება
თუმც გვერთულება,
მაგრამ ეს დარგი
მით არის კარგი
და მიმზიდველი,
რომ ვინც პირველი
არის სიცილში,
ეს, არა ძილში,
არამედ ცხადით,
მასვე აქვს მაღა.
სმის, ჰამის, წოდის,
ლამაზე ცოლიც,
თუ, რა თქმა უნდა,
გადმოუბრუნდა!..
მაშ, ასე, ყველას:
ფხუხ, თუ წაველას,
საშა მაისელს,

თუ მარტო იხელს,
ფინთიხს, თუ ტურას,
სმელს, თუ ჩანჩურს,
ბიულენთელს,
გორელს, თუ მცხეთელს
ლეჩხუმელ პიმპილს,
უშუშევარს, ტკბილს,
გარიყულს, ჩიხელს,
შამს, თუ შავმიწელს,
ყარამანიშვილს,
თუ კომუნიშვილს
ბუფალოს, კაბუკს,
ბენოს, თუ ტაბუხს,
შაქრო ნავთლულელს,
შ-ს, აეტს, უღელს,
პროფექტორს, კარსა,
თუ ეყნობარსა,
ინძეს, ქარიშხარს,
ყველას, ვინც გვიბღვერს,
ვისაც ფოსტაში
გავკარით ყბაში
ამხანაგურად
და არა მტრულად,
გთხოვთ: გვაპატიონ
და აპატიას
არ მისცენ თავი,
არ დასდონ მკლავი,
დაულალავი,
არ შეკრთენ გულით,
კვლავ სიყვარულით
ვუთვლით მათ სალამს!
ხელი ჰკრან კალამს:
არა იფრინონ,
ააწრიპინონ,
სიამე გვეფინონ,
და მოგვაწვდინონ,
ცნობათ არ დიდრონ,
რომ გაგვაცინონ,
არ გაგვაწბილონ,
და აგვაცდინონ,
კვლავ განსაცდელსა,
თორემ ხელსა
კალამს ჩვენც ვსტაცებთ,
ფოსტას კვლავ „ჩაფცხებთ“
და დავამარცხებთ
ყველა ჩვენს ორგულს...
მაშ, თქვენ მეგობრულს
გაგვიწვეთ შევლას,
და რედაქცია
მოგელისთ ყველას,
ხევით ჩამოთვლილ
ფსევდონიმ გვარებს...
მუნ ვალენციაც
თავს შეაფარებს!
გრის და ოტისა,
კუპრადეს, ტიალს,
მოსდევს ნიკოლა,
ხედ უხილავსაც
უყვარს მიყოლა,
და შენ კი... შენ კი,
ძია სენია,
ამდენს რომ სდუმხარ,
რათ არ გრცხვენია?!



„სოკრაშენიე-შემოკლება,
რომ ესტევათ ქართულათ,
არის როს ყმა წევს, ტახტზე ასე
გადაშლართულათ...

ლანკალი სექტა.

„სოც. დემოკ. შეიტანეს
რეხსტაგში შტრეზემანის
მთავრობისადმი უნდობლო-
ბის გამოცხადების შესახებ“
(გაზეთებიდან:)

გერმანიაში ხმები მიდიან,
რომ შტრეზემანი ძაფზე ჰკიდია. ¹⁾
დღეს **დენერალი** იქ ვინმე **სექტა**,
ასეთ ამბებით შეწუხდა, შეკრთა...
გრძნობს, რომ მის ზრახვას წაუხდა მაღა
და რომ შებინდა, გამოაცხადა:
„მას, ალექსანდროს, ვინც კი ატარებს
სახეს კომუნის და კომუნარებს!...
„გერმანიაში იყოს ცოცხალი?!...“
(ჰმ! შენკი, სექტა, დაგიდგეს თვალი!)
კიდევ ვერ მიხვდი, თუ ვის აქვს ძალა,
ან რად ვერ ხედავ, შენ მაწანწალა?
შენ და შტრეზემანი მიდიხართ ტყუპად. ²⁾
დაგანზრახვებიც მთლად დაგეღუპათ.
საიქიოდან მოდის **ანკეტა**
არ ჩაიბარებ? იცი, დაკეტა
შენ რას მოგიტანს იმ „**როტე-ფანეს**“...
სადაც მშრომელის არის ყრილობა?
რას აენებს შენგან ესე „ჭრილობა?!“
გზა დაბნეული მემარჯვენენი
შენ გათქმევენებს საკუთარ ენით,
რომ აზრი შენი, **დემოკრატიზმიც**,
იგივე არის, რაიც **ფაშიზმი**!..
მათ შტრეზემანმა, უთხრა უარი?
ის დღეს სდგას, როგორც ბებერი ცხვარი.. ³⁾
იგრძენით: მოდის სისხლის ნალექი
და ნიაღვარში თქვენ, როგორც ლეკვი,
გამოიხივებით! ვინ შეგიცოდებს?
დიდი ხანია გრძნობ, რომ არა ვინ:
გემსხვრევა თავზე ჰკუთის კარავი.

¹⁾ „ძაფი“ უკვე გაწყდა

²⁾ შტრეზემანი უკვე გამოასკუბა.

³⁾ რომელიც მგლისაგან შეჭმული არი:
შენიშვნები, ნიანგისა.

უწინ პროკრუსტო ამ მიზნით კაცს
აცლიდა ფეხებს,
დღეს კი მიმართვენ ამ საქმისთვის
სხვა ახალ ხერხებს!..

და ჯოჯოხეთი, ვით შემპარავი,
არის უთუოდ შენი მფარავი.
თქვენს უწო ძვლებზე ფეხს დააბაჯებს
შრომა! ითქმება: „სალამი ბიჭებს!“
რომ მით დაიმსხვრეს მტრების ჯარები,
და **აღსდგეს ქვეყნად კომუნარები!**

გაბარებლის რევიზორის მიერ სიუპარულის ახსნა.

მას აქეთ, რაც თქვენ „დააკომპოტერა-
ვით“ ჩემი გული და მე მივაღვეი „შიპცები“
თქვენს მოციმიციმე ტუჩებს, არაფელს ჩერ-
ვონცებით გადიდებულს ჩემს ჯამაგირს არ
შეუძლია შესცვალოს ჩემი თქვენდამი სიყ-
ვარული... მართალია, ზოგიერთი თქვენი
სახის გამომეტყველება სრულიად არ ეთან-
ხმება რკინის გზების წესდების მოთხოვნი-
ლებებს, მაგრამ მით უმეტეს, როგორც მე,
ახლანდელ ყველასთან გათანასწოებულს
რევიზორს, სრულიად შემეფერებით.

უბილეთო მგზავრები ისე არ გამახარებს,
როგორც თქვენი შემოხედვა აღვიძებს ჩემში
გრძნობას და მიმატებს სიმზურვალეს, რომ
ესძლიო ჯუღფის მატარებელში გაყინულ
ვაგონების სიცივეს.

იგივე მატარებელში სინათლე არაფერი
არაა, შედარებით თქვენს ბრწყინავს თვალ-
ებთან, და სუნთქვა თქვენი ისე მოდებულია
ყოველგან, როგორც მატარებლებში უბი-
ლეთო მგზავრები, რომლებიც ფულს სრუ-
ლებით არ იხდიან.

მოქცევა თქვენი ისეთ შთაბეჭდილებას
ახდენს ჩემზე, როგორიც რკინის გზის ად-
მინისტრატორებისაგან ბრალიან და უბრალო
ხალხის კანტრალიორებათ ჩარიცხვა.

უშენოთ, ჩემო ძვირფასო, იგივე ვარ, რო-
გორიც ჩვენ ყველა კანტრალიორები უყურა-
დლებით და უპატრონოთ დატოვებული ჩვენს
უფროსებისაგან.


ოლონდ შენ კი შემეყვარე, მგზავრებო,
და რასაც მე ვილანძლები მატარებლის გა-
შინჯვის დროს, სუყველას დაგივიწყებ.

მეც ვიცი, ჩემო ძვირფასო, ჩემი ჯამაგირი
შენ არ დაგაკმაყოფილებს, მაგრამ დიდი
პროტექციით ვცდილობ მაღე ბილეთების
მოლარედ, ან მეარტელეთ გადავიდე რომე-
ლიმე სადგურში და, ვიცი, იქ შემოსავალი
დამაკმაყოფილებელზედაც მეტი იქნება.

გიორგი შვილი

წერილი ნიანგს.

დიდი ხანია, რაც გამეგონა
ცხოველ მყოფელი ნიანგის ქება,
მაშინც კი, როცა არავინ ბონათ
საქონლის მანათს არ მიიღებდა.—
ვინ გაბედავდა მაშინ, რომ მეთქვა
სიტყვა ვისიმე თავ მოსაპრელად,—
რადგან დღეს ყველგან სიწითლე ფეთქავს
და წითელი ნიანგს კბილი აქვს მჭრელად,—
ვინც რომ ლალატობს ჯერთავისთავს და
შემდეგ მიძვრება საკუჭნაოში,
ვაჰ, თუა ნიანგი ჩვენ გავიბრაზდა,
ფიქრობს: „გამოყრის კბილებს ნაოჭში.“
ამ ფიქრებიდან მეც გამოვედი
ცეცხლ მოკიდებულ დანასხვრევ ხილით,
მცირე ამბავით შენთან მოვედი,
მართალი სიტყვის ჰკუთ და რილით.
შენ გენაცვალე, ჩემო ნიანგო!
ჩემს გულის თქმაში თუ რამ მიაგნო;
ყალბი სულის თქმით მქონდეს ნაწერი,
ნუ შეწუხდები, გთხოვ ამისათვის
არ შეარბი კულისა წვერი,
ამას, რომ ვწერდი ნატეხი ყლორტის
საბუთად სიტყვის მაშინ წინ მედო:
ამბობენ თედო, მემარცხნე ლლონტი
ნახარში, ქვებით და მის საცერით;
კომუნიზმშიო გადაბარგდაო;
ასე დაეშვა ძველი ფარდაო,
ტრადიციის და ფედერალიზმის...
ოხ, უკაცრავად, აგერა, მიცდის
კიდევ ამბავი, უფრო ახალი:
„აფართოებენ ბირეას შრომისას
უმუშევარი მრავლდება თურმე.“—
რა მეშველება, ერთი წელია
ვასაღებ იაფ სამი წლის ხურმებს.
რადგან სამსახურს ჩერვონციდგან
მე შესასვლელი დავუხშე კარი.
ასე, ნიანგო, შენი იმედით
თვით გასაჭირსაც ესტკიცე უარი
აბა, ვის აწყენს ეს გასაჭირი,
როცა მინდორზე სუქდება ვირი.
ზოგი ეშმაკობს ვაჭრის ღიპიდან
და აუშვია ზეცისკენ ცხვირი...
მე ამას ვამბობ იქ გასაგონად,
სადაც სჭირდება სახლის გირაო,
„არტელი“ არის ათ ჩერვონცათ,
რომ კიდევ შრომაც მიაქიარაო!
კარგი საქმეა ბოლოს და ბოლოს,
როს მოითავებ მტკიცე სამსახურს,
არტელის გამეგ მოგიძღვნის ბოლოკს,
და სატირლადაც დაგარჩება სახლი
და ჩერვონცები... იქნება ვცდები,
და მაპატიე, ჩემო ნიანგო!



ენის არ მკოდნენი.

ლამე ვათიე; ისეთ ადგილას,
რომ ზურგი მტკივა, კენისთვის სარგო
ახლა კი მივალ და ორი კვირით,
ეს უდაოა, რომ ვიმარხულებ,
მაგრამ, ნიანგო, არ დაგივიწყებ
და ერთ კვირაში კვლავ გინახულებ...

უბზიკონი.

რაგა რუგა აგლა-უგლა.

(არც ჭკვ ანის და არც სულელის დღიუ-
რიდან).

ხო და იმას მოგახსენებდით... რაკი ჩემი
ტარიელ-ტარიელობის გამო არავეისი შიში—
რიდი არა მაქვს, ამიტომ ჩემს ნახულს აშ-
კარათ ჩამოვყავა.

ძლიერ მიყვარს მეზავრობა, მაგრამ რად-
გან არც ერთი დარგის კომისარი არა ვარ
„უსტაჟობის“ გამო, ავტომობილს ვინ მა-
ლირსეს, დავდივარ—ფეხომ, „პეშკომ“...
დავდივარ ქალაქებში, სოფლებში, მთაში
და ღრეში, ყველგან ჩემით ვიკვლევ გზას.
არსად არ მჭირდება მეგზურ-წინამძღოლ-
ჩიხრონე, გარდა ერთი დაწესებულებისა...
შიგ დედა ქალაქში, რუსთაველის პროს-
პექტზე არის ერთად-ერთი დაწესებულება
რუსულად მიწათმოქმედების კომისარიატი
და ქართულად ნარკომზემი, საცა უწინამ-
ძღვროთ მე კი არა, ცნობილ პუბლიცისტს
და იშვიათი მეხსიერების ადამიანს ექიმს,
ვასილ წერეთელსაც გაუჭირდება რომელი-
მე ოთახის მიგნება. ვასილ წერეთელი კი
ისეთი იშვიათი მახსოვრობის ფენომენია,
რომ მას ბევრჯერ თავისი გვარიც კი
დავისწყებია და ცოლიანი იყო, ხალასტოი,
სტუდენტი, თუ ექიმი ეგ რა სათქმელია,
როგორც ის არ არის აღსანიშნავი, რომ
ვასო კურსის გათავების ორი წლის შემდეგ
„როცა ისევ იმავე ქალაქში მოხდა, ისევ
იმავე ოთახში არხეინად შევიდა, საცა წი-
ნად ცხოვრობდა. აქ მას დაუხვდა სხვა
მდგური სტუდენტი და—„ვი კტო ტა-
კოი?—სამ ვი კტო ტაკოი?“ შეხედნენ ერთ-
მანეთს.

სწორეთ ვასილ წერეთლის ნიჭია საჭი-
რო, რომ ნარკომზემში გზა-კვალი არ აგე-
რიოს და ერთი ოთახის ნაცვლად მეორე-

ში არ შეხვიდე. საქმე იმაშია, რომ რო-
გორც მოგვხსენებთ, აქ არიან თავმოყრი-
ლი არამც თუ ჩვენი ქვეყნის აგრონომები,
არამედ, ნაციონალიზაციის შემდეგ, სხვა
ეროვნებისა ბევრია მოწვეული. ცხადია, მე-
ურნეობის სხვა და სხვა დარგის აგრონომ-
მეურნენი სხვა და სხვა ოთახებში სხედან...
მაგრამ... ხომ მოგვხსენებთ, აგრონომიაში
გადარგვას დიდი მნიშვნელობა აქვს და აი
ქალაქში მყოფ აგრონომებსაც გადარგვის
წესი რომ არ დაავიწყდეთ და მასთან გა-
დარგვის შემდეგ რომ გადახალისდნენ, ამი-
ტომ გადაუწყვეტიათ ერთი ოთახიდან მე-
ორე ოთახში სტოლ-სკამ-შეაფუების ყოველ-
დღიური თუ არა, სამ დღეში ერთხელ მა-
ინც გადარგვა. ოთახებისა და კაბინეტების
გადაცვლას ეპიდემიური ხასიათი აქვს მი-
ცემული. თუ რა ნაყოფი მოაქვს ამ „გადა-
ჯექე-გადმოჯექის“ აგრონომიას, ამის გან-
მარტებას თავის დროზე მოგვცემს ამხ. ნი-
კო დოლიძე, მაგრამ სამწუხაროთ მას ხში-
რად უწევს რევიზიის გამო კახეთში ყოფნა...

კახეთი... კაი დაგემართოთ, ძლიერ კარ-
გი კუთხეა. ნიკოს კი არა, მეც ძლიერ მი-
ყვარს კახეთის სოფლებში ხეტიალი და მარ-
ნების რევიზია—ღვინის დაჭაშნიკება, ანუ
დეგუსტაცია. ქართველ მემამულე—თავადი-
შვილს ყოველგვარ „ცაის“ გაგონებაზე ციებ-
ცხელება ემართება—მას საშინლად სძულს:
ნაციონალიზაცია, მუნიციპალიზაცია, პრო-
ლეტარიზაცია, ასოციაცია და სხვა, მაგრამ
დეგუსტაცია კი ძლიერ უყვარს... მაგრამ ოხ,
დრონი, დრონი!.. მათ მარნებს ახლა სხე-
ბი უფლობენ და ღვინის დეგუსტაციასაც
სხვები ახდენენ.

ჩემთვის კი სულ ერთია, ვისიც უნდა იყოს
მარანი, ოლონდ კი ღვინო მაგემონ და პა-
ტრონს რას დავეძებ.

ამ დალოცვილ კუთხეში ყველაფერი იმის-
თვის არის მოწყობილი, რომ იქეიფო. ასე
წარმოიდგინეთ მიცვალებული ვაჟაკი არ
გოდებს ცოლ-შვილს, მშობლებს, ტოლ-
სწორებს, არავეინ არ ენანება, ენანება მხო-
ლოდ ის, რომ, მიცვალების გამო, ღვინის
სმასა და ქეიფს მოაკლდა. აი რა წავიკით-
ხე ერთ-ერთ საფლავის ლოდზე:

„შემიბრაღეთ, მეგობარნო,
როცა იყვნეთ ერთათ ლხინსა,

ენის მკოდნენი.

ხომ იცით, რომ ქეიფის დროს,
არცავე ვიყავ მსმელი წყლისა“
(ზაქარა ვარდოშვილი 23 წლის).

მეც ვესტუმრე კახეთს და მისმა მშვენი-
ერმა ღვინომ დროებით გადამაღიწყა ამ
ქვეყნიური სიდუხჭირე—მეც ვცანი „სიამე-
ნი სოფლისა“... და განა მარტო მე ვმხი-
არულებდი? არა, მხიარულებაზე თუ მიდგა
საქმე, შილდელი ბარიშნა, იქაური სამკით-
ხელოს გამგე, ქებულისა მხიარულებით...
ასე წარმოიდგინეთ იმდენზე გულკეთილია,
რომ სამკითხელოს სტუმრებს გაზეთის კი-
თხვის დროს არია—„თამრიკო მოწამლუ-
ლა“-ს სიმღერით ართობს...

ვნახე ყვარელში—იქაური აღმასკომის
თავმჯდომარის, ამხ. ალექსანდრე ჯაშაშვი-
ლის საქმიანობაც, მაგრამ ზოგიც მერე
იყოს...

ოდელია.

მოწაფე.

მეექვსე კლასიდან.

რად მინდა სწავლა, უსწავლელადაც
ბლომად მეტრფიან ტურფა ქალები,
ანგელოზები ამ ქვეყნიურნი,
სუყველას გულში ვენაცვალები!

რა საჭიროა, მითხარით, წიგნი!
არა სჯობია ხელადა ღვინო?
სამიკიტნოში ავარა ხალხთან,
ქურდთან, მეძავთან რომ მოვილხინო...

რას მარგებს, ნეტავ, მათემათიკა?
არ გამოდგება ჩემ ცხოვრებაში,
ან ვინ აჯობებს ჩოტკხედ ანგარიშს
გეოს, გაჭიმულს მიკიტნის დახლში?

რუსული ვიცი! სხვა რაღა მინდა?
ვიცი სიმღერა, ცეკვა თამაში,
ქალების დიდი მოტრფიალე ვარ
და ვინ მაჯობებს ფულის ფრანგვაში?!


იბი.

„სასწრაფო დახმარება“.

ჩემმა ცოლმა თავი მოიწამლა... არ ვიცი,
რა იყო ამის მიზეზი: ის, რომ ჩემი ჯამა-
გირი მის კოსტიუმებსაც არა ჰყოფნიდა და
ნახევარზედ მშვივრები ვისხედით, თუ კიდევ
სხვა რამ... მაგრამ, ამაში ხომ მე დამნაშა-

ვე არ ვიყავ: მე, დიდი ხანია, რაც დავკარგე მამობრივი აქტივობისა და რისიმე წარმოშობის უნარი... ამას გარდა, მე ხომ არ ვეწინააღმდეგებოდი მის კაპრიზებს: ამ თვის ჯამაგირიც, ავანსად აღებული შევწირე აბრეშუმის ჩულქებს და სანდალოზის ტუფლებს! ლობიოს და მჭადის ჭამით კუჭი მაქვს გამობერილი, მაგრამ ვის რა ესაქმება? მე ავას სრულიად არა ვჩივი! მე სხვასთანა მაქვს საქმე: მე სხვა რამესა ვჩივი... მე ვაცხადებ პროტესტს ჯან-საღ-კომის, თუ ჯან-მრთელ-კომის წინააღმდეგ, რომელმაც ცოლი მომიკლა! მაგრამ სჯობია თავიდან დავიწყო: ჩემმა ცოლმა თავი მოიწამლა... ჰო, არ ვიცი, რა იყო მიზეზი, მაგრამ საშინელი პირსაქმება აუტყდა და სისხლის დენაც დაემართა... ცოტა ჭკუაზედაც გადასცდა, რადგან ორიოდ სილა გამიშალა და წყლით სავეს ფინჯანი ზედ თავზედ ჩამომანსხვრია...*) გიჟივით გავექანი აფთიაქში: მიშველეთ, ცოლი მიკვდება, მეთქი, მაგრამ, თავაზიანად მთხოვეს, რომ სიჩუმე არ დამერღვია და მათთვის მუშაობა არ დამეშალა... თურმე ცოლებისათვის „სასწრაფო დახმარება“ ეს ყოფილა. მაშინათვე ვეცი ტელეფონს: ალო! მალლო! ტურვა ქალო! გვედრები, მიშველეთ რამე, ცოლი მიკვდება, ერთად-ერთი, უკანასკნელი... დიდი ხანი არ გასულა, ასე, ნახევარ საათის შემდეგ, მიპასუხა: რაო? სასწრაფო დახმარება? ეს იყო ეხლა გავიდა, მაგრამ შევედრებთ; მე რასა ვკარგავილაპარაკეთ: მზათ არი! ალო! მალლო! ქვეყნის თვალს! სიცოცხლე-ზიარება, სასწრაფო დახმარება! მიშველეთ ჩქარა—ცოლი მიკვდება! უკაცრავად, ამხანაგო, ერთი ეტლი გვაქვს მთელ ქალაქზედ და გასულია საშველად... ნავთლულში... ხვალზედ დაბრუნდება, თუ გზაში არ დაიშალა... უბნის ექიმს მიჰმართეთ! უბნის ექიმის მისამართი... ჰო, მისამართი... აფთიაქში არ აღმოჩნდა, არც არავინ იცოდა... ვეცი პირველსავე ექიმს: უკაცრავად, ამხანაგო, მე ქმრების სპეციალისტი ვარ, ცოლებს არა ვწამლობ!... ვეცი მეორეს: უკაცრავად, მე ვენეროლოგი ვარ! მესამეს—მე პედიატრი ვარ!... შემოვირბინე მთელი ქუჩა—ოც ადგილს შევედი: ცოლმოლოგი არსად აღმოჩნდა... შორით მოისმოდა საშინელი კივილი ჩემი მომაცდარი ცოლისა... ვეცი კომისარიატში: ჩქარა, მიშველეთ, უბნის ექიმი... ტელეფონი! მომცეს ტელეფონი: ალო! მალლო! ღმერთგამწყრალო! სწრაფად მოსვლა მოგინდება, თორემ ცოლი მომიკვდება!—„უბნის ექიმი. რა გნებათ? „შავი ქვა და ნაცარი ცხელი! ჩქარა! ცოლი მიკვდება!“—მერე მე რა შუაში ვარ?! რა გნებათ? გამაგებინეთ?!—„როგორ თუ რა შუაში ხართ?!—ცოლმა თავი მოიწამლა!“—„ჰო! მაშ, უნდა მითხრათ, რით და საიდან!“—„როგორ, თუ რით?!...—მაგალითად, რა ჭამა ღდეს, გუშინ! „რა ვიცი რა ჭამა ღდეს, გუშინ! ლობიო, მჭადი, ხახვი—სახლში, და რა ჭამა იქ რესტორანებში, „კუხენთან და პაღრუგებთან“, ღმერ-

კომუნიზმისაკენ სწრაფად მიშვალა“ თელეფონი მორიგ მილიციონერს: შე ოხერო, რაზედ მალაპარაკე ამოდენა ხანი ტყუილად: მე მკურნალი ექიმი მინდოდა და არა სანიტარული! „ტელეფონისა? ჩქარა—რომელი ტელეფონისა?—უბნის ექიმისა, რომელიც დახმარებას გაუწევს ჩემს ცოლს სასწრაფოდ?!—უბნის ექიმს თელეფონი არა აქვს. „მისამართი? ჩქარა!“—ემპაკის ქუჩა, ფეხსატების შესახვევი, ცხვირსატების ჩიხი, სახლი უცნობისა, უნომრო... ალარ მახსოვს რამდენი ხანი ვეძებე უბნის ექიმი: მის ძებნაში დავლიე მც სული და დავკარგე ადამიანური ჭკუა და გონება... ექიმი ვერ ვიპოვე... როცა გაციებული სახლში მიმიტანეს, მაგიდაზედ დამხვდა ჩემი ერთად-ერთი, უკანასკნელი, ცოლი, ხრიზანტემებით მორთული...



„სასწრაფო დახმარების ეტლით პირველად ჩემი ცოლი და შემდეგ მეც გადაგვიყვანეს სასწრაფოდ... პირდაპირ სასაფლაოზე, რადგან დასამარხი ფული ჯიბეში არ აღმოგვაჩნდა, არც მე და არც მას. ჩვენ საერთო საფლავზე საერთო ქვაზე ამოჭრილია შემდეგი ეპიტაფია: „მეგობრებო, სასწრაფო დახმარების იმედით თავი არავინ მოიწამლო!“

გ. პ.

საყვედური ნიანგს.

I
სახელ განთქმული შენი ეშვეებით
შორს გაგივარდა სახელი, დიდი,
მაგრამ ვერ შესძელ, საუბედუროთ, *)
რომ ოზურგეთთან გაგედო ხიდი.

II
აქ კი იმდენი საკენკი არის,
ვერას გახდება გადარეული
და „ფხუმც“, თუ გინდა სულ იფხუქუნოს,
დარჩება საქმით ისიც ძლეული.

III
არ კმარა მარტო ისტორიული
გამეზავრებისას მალლიდან ცქერა,
შენ ახლოს გენახე, თუ გასურს მაჭარი,
და ავივარდეს გულისა ძგერა.

IV
ღვინით გურია წელს განთქმულია
და კიდევ მოგვდის მაჭარი სვირის,
ქალაქის შვაგულს, თავში, ბოლოში
„ტანკის“ სისხვანი ბოჭკები სტირის...

V
მაშ, მოგვაშვირე ცნობილი „დინგი“
და გვინახულე ამ მოკლე ხანში,
ფეხით არ გაგრჯით, მატარებელით
მოხვალთ პირდაპირ ქალაქის ბაღში.

VI
მაგრამ მოსვლისას იყავი მტკიცეთ,
რომ არ დაგათროს „ყაფიალენმა“
და უნაყოფოთ არ ჩაგვიაროს
სასაყვედურო შრომამ ამდენმა...

VII
ნუ დაგენანვის, რომ გაიმეტო
კბილი-კბილებში უფრო მაგარი,
ისე დაასვე ქალაქის ცენტრში,
რომ ყალყზე დადგეს მისი ჯაგარი.

ასპიტი.

*) საბედნიეროთ
ნიანგი.

*) პირ იქით, დიდი ჭკუიანი ქალი ყოფილა.
ნიანგის შენიშვნა.

ეს ბარგი ზურგზე ასე მისთვის
მომიკილია,
რომ კომუნიზმში შესასვლელი
გზა, ძმავ, დიდა,
თუ მომყვებიან და თანხმობა
იქნება ერში,
ქვაში მოვხარშავ, გობზე გავფშენი,
გავცრი საცერში,
დიდხანს ამ ღუხჭირ ყოფაში მას
არ ვაბოგინებ
და კომუნიზმში თავს სასწრაფოდ
შევაყოფინებ...

.....
თმა იცის!—„მაშ, შემატყობინეთ რესტორანის ადრესი—რა შუაშია აქ რესტორანი, ცოლი მიკვდება!—მაცნობეთ მისამართი რესტორანისა, რათა თავის დროზედ იყოს მიღებული ზომები და ოქმი შესდგეს—„ვინა ხართ თქვენ გამაგებინეთ?!—„უბნის სანიტარული ექიმი... აი, ჯანდაბას იყოს თქვენი თავი: მე სასწრაფო დახმარებას ვეძებ და არა სანიტარულ ექიმს!“—გაბრაზებული ვეცი

სქანა შრომის პირუშუი.

მეგობრული შარში

კახელი. გასარჯობა, გურულო!

გურული. გაკიმარჯოს, ძამია. რაღა, დობირაში ხომ არ გგონია შენი თავი, აქდენს რომ ყვირი?

კახელი. გამეხარდა, ლმერთს ვუცავ, რომ დაგინახე. ნაცნობები ვართ განა! არ გახსოვს, ამ ხუთი წლის უკან რომ ყარსის ფორტეს აქეთუბდნენ, მე და შენ იქ ქეებს რომ ვამტვრევდით?!

გურული. ააა! ახლა მომაგონდა, რამ ჩამოგადო მერე აქანაი?

კახელი. ეშმაკმა, რა ვიცი... რა! ჯინბაზობა მოუგონიათ ამ „ბალშენიკებს“, ეს არის ცოცხალიზმი? რალაც „პირჯა ტრუდა“ თუ ცუდაა, ყოველდღე აქ დავდივარ და ლამის არის სიმშლით კუჭი გაპიხმეს.

გურული. რას უკვტ, ძამია! აბა, რაღა გეგონა შენ? ზოტი ხომ არ გეგონა აქანაი, რომ ჩაწერისთანავე მუშაობა დაგეწყოს შენ კილო გაიგიმარჯვია, რომ იოლად ჩაწერილხარ. მე დამრგვალებული ერთ კვირეს დაეშლივინებდი, ხან აღმა და ხან დღმა და, სანამდი დინდგლია არ დავაყენე, მანამდი არ მიმიღეს. ახლა რაღარც იყო, წამოცთა ჩვენს ზავედუშს, რომ პირველი უეჩერედი შენაო.

კახელი. მართლა, შენ გეცოდინება, რალაც „სტახიაო“ ფლანიაო, ამბობენ კარგი საქმე კია აი, ორი წლ. „სტაში“ უნდა მოიტანოვო, მერე პასობიეო, გესმის? ყოველ-თვე ფულებს იძლევიანო.

გურული. რას ჩივი, კაცო, რაღა ენას იტებს: „ფლანიაო“, „სტახიაო“... შენი ვერაფერი გამიგია. შენ ეგება იგი გგონია, რომ თბილისის ულიცებზე ტყუილათაი გახუნტრუცებენ, და თვეი რუმ გათავდება, ჯამაგირებს ჩაგიჯიბავენ ხელში? ბარაღმაი ჩქარა დაათავე, რასაც ჩივი, რუმ გევიგო, რას ჩივი, თვარა მე იმტოლი საქმე მაქვს, სული კბილით მიკავია. უნდა წვეიდე, მეჩქარება (მობრუნდება წასასვლელად).

კახელი. გურულო, დაიცა, რალა, რა გაფხუკიანებს?! ჯერ კილო ბევრი ამბეები უნდა გითხრა, დიდხნის უნახავი აუხანაგები არა ვართ? დადექი და გასწავლი, როგორ უნდა აილო პასობიე.

გურული. არ მიინდა, ძამია, არც შენი სტავლა და არც შენი „ტრუბა“. ეშმაკმა დაბუჯგუტოს ყველაყაი, შენ ბეური რუმ იცოდე, არც აქანაი იქნებოდი ნე-



ამხ. ლ. ქართველიშვილი, სიღნაღის „ყრპათა კავშირის“ საპატიო წევრი.

ბიერ ხარსავით ყოველ დღე გაჯგიმული. კახელმა თვალი ნელად გააყოლა მიმავალ გურულს და თან თავისთვის ჩაილაპარაკა:
„ვაი, მეხი კი დაგაყარე, მაგ ხეპრე თავზე! გურიში დაიკეხნენ, რაც შენ მაგ ხტუნვით საქმე გააკეთო!...“

სათარხანი.

კატარა ფელესტონი.

წყალტუბოდან.

„წყალტუბო შენდება,
„კურორტით სხენდება,
ხმა მიდის ყველგან,
შეინძრა ქვეყანა.“

მოდიან ურმებით,
ცხენებით, ეტლებით
მოხუცნი, ბავშვები,
უშვილო ქალები.

სნეულნი ქარებით,
მტკივანი თვალებით;
ელიან შველასა.
აქეთ რწმენა ყველასა...

დაეძებ, ვერ ნახავ
ბინების გამგესა,
მინდორში გაათევ
ერთ დღეს და ღამესა,
მეორე დღისა

მოგცემენ ბინასა,
უწოდებ რომელსა
თავლას, თუ ნომერსა?
ქერი და კედლები,
ტახტი და მაგიდა,
არც ღამა, არც სკამი,
დაჯდომაც არ გინდა!

ფანჯარა, კარები
ჩაუკეტავები,
ქვემოდან, ზემოდან
გიბერავს ქარები.

ხარ განაწამები,
გაწუხებს ქარები,
დაიბან, ჩაწვები
აგუცება მკვალეები.

ოთახში ნაგავი,
დახტან რწყილები.
ტახტებზე გაიბიან
კედლისა ტილები.

წინ ეზო სავესა
საქონლის ნეხვითა,
ლორები უღლებით
ჩუჩქნიან კენესითა.

სიწმინდის დაცვაზე
არავინ არ ფიქრობს,
დარაჯის მანდატით
ლორები სანიტრობს.

სალამოს დადლილნი
მთელი დღის შრომითა,
ოთახს ქვეშ შედიან



რადგან ამ ვაჟში
ჩვენ ნიჭს ვაფასებთ,
საპატიოდ აქ
მისთვის ვათავსებთ.
ეშმაკს „მათრახში“
ჰმადრიგალობდა,
(თუმცა მით იქ „ტილზე“
უფრო გალობდა,
მათთვის იწოდა,
მათთვის წვალობდა)
და რადგან ნიანგს
ის არ სწყალობდა,
მის მხარეს რომ ვერ
გადმოვიყვანეთ,
სურათი მაინც
გადმოვიტანეთ...

გორგით და ძრომითა.
მართავენ კონცერტსა,
მაყრულოთ აწყობენ;
ვანიდან ამოსულს
გალხენენ, გართობენ...
შვა ლამე გახდება,
არ გძინავს, ბორგავხარ
ბაღლინჯომ, რწყილებმა
გიკბინეს, გორავხარ.

თენდება, მთვარეა,
თან გრილი ღამეა,
ვერ დგები ლოგინში:
ხარ დილის ლოდინში.

თენდება, დაჯდები
იბერტავ საცვალსა,
აბრუნებ ზეწარს, ლებს
და ხილავ საბანსა..

სამფეხის რკინითა
ეკა რეკს ზარასა,
ნოე რეკს აბანოს
და ამღვრევს შიგ წყალსა.

ოთახს ქვეშ გიყივლებს
ანეტას მამალი;
გაფრთხილებს: ადექი,
ჩაიცვი შარვალს!

ჩადიხარ თბილ წყალში,
გარშემო ორთქლი სდგას;
ბუნების სიმდიდრე
ამოქუხს, წინ გიდგას.

აუზი ათია.
სივრცითაც დიდია,
არ არის მორთული,
როგორც რომ რიგია.

სუფთად რომ არაა,
ეს ხალხის ბრალია;
თვალყურის დევნება
კი გამგის ვალია.

ეზოში ფარანი.
არსად დგას, ბნელია;
ოთახის მიგნება
ვანიდან ძნელია.

პატრონი, ყოფილი,
გიორგი მაღალი,
აქ არის ყოველ დღე,
თბილი წყლით ღამბაღი.

წართვეს აბანო,
აცხადებს საყვედურს,
მაგრამ დღეს მის ბუზლუნს
არ უგდებს არცინ ყურს.

დღუქნებში ბევრია
პურ-ღვინო, ყველია,
სიმშვილით მოკვდები,
თუ ჯიბე თხელია.

წყალტუბო შენდება
კურორტად სხენდება,
ხმა მიდის ყველგანა;
შეინძრა ქვეყანა!..

ესტატი ჩიპურდანიძე.

გათოჯის სხოპრაპილან.

გამრეკელის ცირკში მღვდელთა ჩემბიო-
ნატი ვნახე.

მშვენიერი სურათია: ერთ კუთხეში დგას
მაგიდა, რომელსაც უსხედან ქიდაობის ჟი-
ური: მიშა ნაკაშიძე და მამა ეპიფანე და
სხვები. მუზიკა უკრავს ცერემონიალურ
მარშს. შემოდინ მოჭიდავის ტანსაცმელში
გამოწყობილნი ოცამდე ქართველი მღვდ-
ლები, — წინ მოუძღვის ბათუმში ქართვე-
ლების ეკლესიის ამშვენებელი ცნობილი
მამა ჩხიკვაძე, შემდეგ მოყვება თოხაძე და
ასე სხვები. საინტერესოა მათი მოყვანი-
ლობა, მიხვრა-მოხვრა და გრაცია.

რამდენიმე ჩამორების შემდეგ, ჩერ-
დებიან რიგში. მამა (ლანჩხუთელი) აცხა-
დებს: იჭიდავებენ სახელ განთქმული ჩემ-
პიონები: თოხაძე და ჩხიკვაძე.

საზოგადოება ყურადღებით უსმენს.
იმართება ქიდაობა.

მოულოდნელათ მამა თოხაძეს ხელს სტა-
ცებს მამა ჩხიკვაძე

წარმტაცია მათი ფრანგული ქიდაობა.

გადის ხანი. ვერც ერთი ვერ სძლევს;
თუმცა მაყურებელთა უმრავლესობაში
დიდი იმედია ჩხიკვაძის გამარჯვებისა.

ბრძოლა გრძელდება. მამებს ოფლი ღვა-
რად ჩამოდის. მაგარი შეჯიბრება და უც-
ბათ მოულოდნელად ეცემა მამა ჩხიკვაძე.
ყვირიან: აჯობა, აჯობა, — არის დაუ-
სრულებელი აპლოდისმენტი.

ტაშის ცემაზე უცბათ ვიღვიძებ...

— მაშა, ეს სიზმარი ყოფილა... მაგრამ
ტაშის ცემა ისევ ისმის — ცირკში არავარ...
მაკვირვებს ეს მღვდმარგობა. თან და თან
ვერკვევი, — საათში ვიყურები. ღამის ორი
საათია. ტაშის ცემა წყდება, — ისმის ქუთა-
თური სიმღერა: „ორი ქოთანი ვიყიდე.“ —
„შენ გგონია ქალს გაუშვებ და შენ გამო-
გეკიდები.“

— არ გაუშვებ შენმა სიცოცხლემ, გაუ-
შვებ კი არა მეტსაც უზამ, ბიძია, რომ ეს
ასე ადვილი იყვეს, როგორც სიმღერაში
იტქმის.

ეს დაუსრულებელი აპლოდისმენტი და
ტაში „შამილის“ ცეკვისაგან ყოფილიყო
გამოწვეული.

მიკვირს, მე და ჩემმა ღმერთმა, ამ ჩემ
მეზობელ ოლგა სოლომონოვნას მუდამ რა
„ევეჩერება“, რომ დანარჩენ მდგმურებს
მოსვენებას არ აძლევს?

ნეტარ ხსენებული ბებია ჩემი მასული-
დან გამიგონია: — „შაბათის სიზმარი კვირა
სადილობამდიო.“ მეორე დღეს ბაზრიდან
დაბრუნებული, ჩასუქებული ოლგა სოლო-
მონოვნა მზიარულის პოზით ეუბნება ეპრა-
ქსია მერაბოვნას:

— იცი ქალო! — ხომ აჯობა, აჯობა ხომ,
თოხაძემ-ჩხიკვაძეს.

— როგორ, თუ აჯობა? — გაუგებარის
კილოთი ეკითხება ეპრაქსია მერაბოვნა.

— როგორ და დღეს უპრავეში, უკაც-
რავათ, კომუნოზში ბალატროვკა ჰქონ-
დენ და თოხაძემ გაიმარჯვა, ჩხიკვაძე გა-
ამაგეს, — словом Тохадзе победил.

— არ მესმის, ღმერთმანი. არ მესმის, —
ჯვარის წერა არ არის და ნათვლა. სამო-
თხე არ ყოფილა და ჯოჯოხეთი და რომ
ღმერთი არ არის, ამის შესახებ კომსომო-
ლებს დაეკითხეთ. აღარ ვიცი, მე არ მოკე-
ტე, რათ უნდა ამ ხალხს ეს ხუცესი. это
все от нечего делать и больше ничего.
ათავებს თავის ქნევით ეპრაქსია მერაბო-
ვნა.

პროფესორი.

პოქასოუნდანსიიბი

ჩიბათლების საუბარი.

პოლანიე მიდის ლანჩხუთისაკენ დილით
ადრე.

„სად მიხვალ, კაცო, ამ ძაღლის იალონ-
ზე: ჩამოუხვები ჩემსას, აგერ გობის სისხო
კვერი ჩააგდო პელაგამ ცეცხში, იგი ვკა-
მით, თითოთ კოპე ადესიას ხუჭუჭაი მა-

ქარიც დავლიოთ და ქი წადი მერე“, ეუბნება მას გლახუნა. — „გამარჯობა, გლახუნა, შენი კაი, სად მივალ და აი დასაქცევი, ჩემი საქმე საზღაპარო შეიქნა პირდაპირ. მე და ალექსას მთელი წუხანდელი დამე არ დავგიძინია: გავათენეთ ცეცხლის პირში. გვეიგეთ, რომ ლანჩხუთში კანტროლები ჩამოსულაო და უფრენია იქაური მთავრობაო. შეიძლება იცი ჩიბათის მთავრობაზე თუ ითქვა რამე“. „რა მოხდა, კაცო, რაშა საქმე, მითხარი“ — „რა მოხდა, გლახუნავ, და კი იცი, ჩიბათის ხალხი შიშველ ტიტველი არის. ვიფიქრეთ, ეგებას მთავრობამ ტყე მოგვცეს დასამუშავებლათ, რომ ამ გაჭირვებულმა ხალხმა ორ კაპეიკს ხელი შეაროს მეთქინ და ჩვევით თბილისის ქალაქს. იქინე ვინცა ცინცადე ყოფილა, შეგვხდა და დავგვხმარა. მოგვცეს ორასი ჭკევე დასამუშავებლათ ბაგი კი ყაი-სარაის ბიჭიზა უნდა გვეძლია, წესი ესე ყოფილა. აგი ძლიან გუუხარდა ჩიბათლებს და დევიწყეთ მუშაობა. კარგათ რომ ავაწყვეთ საქე, მღმასკომ კუკულაძემ გვიხრიკა, გამოგვაბუნძულა ჩვენ და მან ჩიბარა ტყეი. ალექსას პაწაი უკლია გადარევა: იმას ტირის, რომ კანდრახი მთავრობაზე ჩვენ გვაქ მიცემული და კუკულაძემ საზოგადოებას მიწა წართვა, თვარა გლეს ხომ ვერ წაართუმსო. აგია ამიზა მივალ ლანჩხუთს, ეგებას ვინმე ჭკვიანი კაცი ვნახო და მიჩიხოს რამე“ — „იქინეი, ძამია, უარესი ამბავია. ლანჩხუთში ჭკვიანი ნაკლებათ უნდა იყო, გუშხამ რომ აბმავს ვუყურე“. „რას ამბობ, გლახუნავ, ლანჩხუთშიც არეულია საქმეები?!“

აი აგერ გეტყვი. — არეული კი არა, ვინცა გოსტ-რახი ყოფილა, ჯორბენაძე, თურმე. კრამიტით დახურულ სახლს ნაკლებ გადასახადს აწერს და ისლით დახურულს კი მეტს. მე ქი დევიფსე, კაცო, ჩემსას ყორიფელი ისლით დახურულია. ფულის სასესხებელათ წავედი ლანჩხუთს მოყვარე მყავს, იავორაი. ამის სახლი გაჭირვებული ჭინებია ორი წინაი თვალს. მე შემეყვანეს წინა ოთახში. რაცა შეიქნა ფაცური ამ წინა ოთახში, მარა. რაში იყო საქმე რა ვიცოდი. თურმე სოლომონ მდივანს გუშხამ ქალი მუუყვანია და იმ დამეს ქორწილს აწყობდა — „ბიჭო, გლახუნავ, იი სოლომონი ბუდუ მდივანის ხომ არათერია“... — რის ბუდუაო, კაცო, იგი ამაღლებსელია... დაჟდენ სუფრაზე, პეტრე აღმა-ქენი დაღდა ტოლუმბაშათ და მოგეცა ლხენა... იმ დამეს ძაღლის დამე დამითენდა, მარა მეორე დილამ ეს სულ დამავიწყა... ქე გეიგონებდი რაც მოხდა. რა ნაირად გვიკრეს ბიჭებმა ხელი რეგოლვერებზე... პეტრეამ ჩუბშიც იჩინა თავიო, ამბობენ... ქრისტიანამ მითხრა: „პეტრე რომ დათვრება, ქუჩაში იჭირავს ბრუნდ და მართალსო... ბიჭო, იცი რა გითხრა? პოლენიავ, შენ რომ ლანჩხუთს, მიხვალ, იქინე ჭკუიანი კაცები იყოს, უპატრონოთ არ იქნება მაშინ ლანჩხუთი. ისევე ლე ჩიბათს დაბრუნდი უკან, კუტავ, ეშმაქს ფეხი მოსტეხე: ეგებას მართლა ქე დაგიპიროს პეტრეამ... გირჩევ ისევ შენ ალექსასან მიხვიდე და თბილისს მიაწევი, ეგების ვინცა ცინცადეა, შეგვხდეს კიდე და დავგზმაროს...
მუხრანუკი.

ქ. ოზურგეთი. 17 ნოემბერს სასახლე „არტელში“ შესდგა „თამბაქოს წვეის უკუ-მგდებთა ჯგუფი“-ს კრება. კრების მიერ

მგოსანი იონა ვაკელი მიმართავს „სასტიკი საყვედურით“ ორფეხა ცხოველებს, რომლებიც არიან მსუქნები, არიან მაძღრები, ებრძანება: „დღეიდგან დატოვონ საბჭოთა საზღვრები!“.



და ორფეხა ცხოველებიც სტოვებენ... „ერივანკას“...

მიღებულ და დამტკიცებულ წესდებაში, რომელიც შეიცავს 18 მუხლს, მე 17-ტე მუხლში ნათქვამია: „გაეგზავნოს მისასაღმებელი დეპეშა ამხ. ნიანგს და აღიძრას შუამდგომლობა, რათა გადაგვიყვინოს მისი გამჭრიახი ხმით ყველასთვის გასაგონრათ, რომ ასეთი ჯგუფი დაარსდა აზურგეთში. ჯგუფი აცნობებს ს. უ. ს. ს. და თამბაქოს სახელმწიფო ტრესტს, რათა. 580/-ით შეამცირონ თამბაქოს გამოშვება ბაზარზე, ვინაიდან ზემოაღნიშნული ჯგუფი არ იქნება თამბაქოს მყიდველი და ტყვილად არ გაფუჭდეს გამოშვებული საქონელი. წესდების მიღების შემდეგ მოხდა არჩევნები, სადაც ჯგუფის მთელი შემადგენლობა დაინიშნულ იქნა პასუხის მეგებელ პოსტებზე. არჩევნების შემდეგ მოხდა სადილობა, რომელზედაც ზედაშის საკმაო დოზა გადაეშვა ხანაში თამბაქოს სულის მოსახსენებლად.

ჯანსუღი.

ქრონიკა

ნოე ზომლეთელის კონცერტი.

წარსულ კვირა დამეს ნოე ზომლეთელმა უცნაური სიზმარი ნახა: ვითომ ნოეს სახელმწიფო კონსერვატორიაში გაემართოს დიდი კონცერტი: თვითონ უკრავდა პიანინოზე, ნიანგი კი აწკრილებდა ვიოლინოს და გაზ. „ტრიბუნა“ ს რედაქტორი ადამის სამოსელში დაეღუფს უფლიდა. რომ გამოეღვიძა ნოეს, მის გაკვირებას საზღვარი არ ქონდა, მაგრამ მალე შენიშნა გაზ „ტრიბუნას“ კვირის ნომერი და აიღო ხელში წასაკითხავად. ხელოვნების ქრონიკაში ეწერა შემდეგი ამბავი:

„კვირას, 18 ნოემბერს, სახელ. კონსერვატორიაში ცნობილი პიანისტი, ზომლეთელი გამართავს კონცერტს“ ნოესგაუკვირდა. ნიანგს თურმე გაჰხარებოდა ეგ ამბავი და თითქმის რაც ძვირი ბაღეთები იყო, ყველა ეყიდა.

მოახლოვდა საღამოს 8 საათი და ნოეც გაემართა კონსერვატორიისკენ. დარბაზი გაქედილი იყო ქართველ საზოგადოებით.

ზომლეთელს წინ შეეფეთა გაზ. „ტრიბუნის“ რედაქტორი, რომელიც დიდი პრანჭვა-გრეხით მიუახლოვდა ზომლეთელს:

„ბოდიშს ვიხდი თქვენ წინაშე, ამხანაგო ნოე. ჩვენ ქრონიკაში შეცდომა შეგვეპარა. უნდა დაბეჭდილიყო „პიანისტი ზომლეთის კონცერტი“ და დაიბეჭდა „ზომლეთელის კონცერტი“ გამოიცვალეთ ფსევდონიმი, თორემ სულ შეცდომაში შეგვყვართ!“

აქ კი აღარ მოუთმინა ზომლეთელს გულმა, მოჰკიდა ხელი გაზ. „ტრიბუნის“ რედაქტორს და გადაუშვა ნიანგის ყბაში გასასწორებლათ.

ჟურნალისტი.

ფოსტა.

აქ. მზის ომელას და კარდონელას. მივიღეთ თქვენგან ორი ცალი „ჩვენი ოქროპირი“. ცხვირი ორივეს ერთი აქვს, მაგრამ პირები კი არც ერთს არ აქვს საჩვენო.

იქვე. დონ-ჯოვანს.

თქვენი შარადა

არ ღირს არადა,

„არალეგალური ცეკისტის დღიურიდან“ კი ჩეკიდგან გადავგზავნეთ მეტეხის ციხეში.

იქვე. გიგოს „ეშმაკი და ნიანგი“ მოვათავსეთ სარედაქციო კოლათში, თუ იქაც არ მიეცა მათ შორის რაიმე გაუგებრობას აღვიღო.

აქ. შუადღის პანს. თქვენ სხვის თარგმანს იწუნებთ, მართალია, მაგრამ თქვენს ორიგინალურ ფელეტონზე რა აზრისა ხართ? ამაზე თქვენ სდუმხართ და ჩვენ იძულებული გავხდით საკითხი გამოსარკვევათ გადაგვეცა სარედაქციო კალათში.

ბათუმში. დრახტაბას. ჩახტა!.. „დას!“.. მხოლოდ სარედაქციო კალათში.

იქვე. გაიღეს. თქვენი მოხსენება გავიგდეთ, მარა რა გავიგდეთ!..

ყველა პროვინციულ კორესპონდენტებს ვისი წერილიც კი მოთავსდა ჟურნალ „ნიანგში“, მოითხოვეთ ზვედრი გონონარი და გაასწორეთ ანგარიში გამომცემლობის კანტორასთან. განსაკუთრებით ეს ეხება პ. ოზოლს. ჟურნალი უფასოთ კი არავის არ გავგზავნება.

მსოფლიოს ახალ ბიძაშვიტს ალწუმი.



კონრადი—რაზმს:

„საპატივცემლო სალამი მარჯვნივ“!..

ფეიქა—კასუსხად:

„დანები—მარცხნივ“!!!

